# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 9 ოქტომბერი. 2023 წ. №113 (9645) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი




## რას ნიშნავს რუსული ბაზა ოკუპირებულ ოჩამჩირეში?

## გაზრდილი საფრთხე ზუგდიდიდან 35 კილომეტრში

იხ. 8 გვ.

## ილჰამ ალიევი:



## ირაკლი ღარიბაშვილის ლიდერობით საქართველო ვითარდება თავდაჯერებულად, მოსახლეობის კეთილდღეობა იზრდება!

იხ. 4 გვ.



იხ. 7 გვ.

## თითო მახინჯი ყველა ოჯახშია... მთავარია, არ გამრავლდნენ!

## სისხლი ხომ არ გაგიშრათ, ქართველნო?!





იხ. 2 გვ.

# რძენაწყენი უვიცების ბრბო...



ჩვენი მტერი ისეთ ფასს გადაიხდის, რომელიც აქამდე არ გადაუხდია.

**ბინიამინ ნეთანიაჰუ,**
ისრაელის პრემიერ-მინისტრი

იხ. 3 გვ.

## სახალხო მკურნალი

## არჩილ ხომასურიძე „საპატიო თბილისელია“

იხ. 6 გვ.



## ახალი სიტყვა არქეოლოგიურ მეცნიერებაში

5

# რძენაწყენი უვიცების ბრბო...

**საოცარი „აღმოჩენის“ წინაშე ვდგავართ საქართველოში: ჩემი აზრით, სრულიად აშკარაა ახალი მმართველობის ფორმის დამკვიდრება ჩვენში, რისი ისტორიული პრეცენდენტი არც წარსულში არსებობს და, არა მგონია, ან მომავალში იარსებოს!**

**რა არის ამისთანა და როგორ მიაგნეს მას ქართველებმაო, – იკითხავს გაოცებული მკითხველი. პასუხს დიდხანს არ დავაგვიანებ: ეს არის ენჯეოკრატია!**

**ენჯეოებს, როგორც თქვენც იცით, არასამთავრობო ორგანიზაციებს უწოდებენ, რომლებსაც, ზოგჯერ, აბრევიატურით მოიხსენიებენ – „ასო“.**



**ისე, მე რომ მკითხოთ, ეს სახელი უნდა დაგვემკვიდრებინა მათთვის, რადგან სახელწოდება „ასო“ ყველაზე ზუსტად გამოხატავს მათ სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსსაც, დანიშნულებასაც, ინტელექტუალურ პოტენციალსაც და ამ ორგანიზაციათა წევრების კულტურულ-ზნეობრივ და განათლების დონესაც.**

საზოგადოებისთვის ნაცნობი და გასაგებია ტერმინი „ასო“, ამდენად, ამ ორგანიზაციებისადმი ხალხის დამოკიდებულებაც ადეკვატური იქნებოდა. ახლა რა გამოდის? ხალხის უდიდესმა ნაწილმა არ იცის რა შინაარსი დევს ამ უცხოურ ტერმინ „ენჯეოში“ და ქართველების ამბავი ხომ იცით, ყველაფერი უცხოური გადასარევად კარგი ჰგონიათ. ამიტომაც არის, რომ ჩვენში ასზე მეტი ენჯეო არსებობს, ლამისაა საქართველოს ენჯეოეთი დაარქვან მეზობელმა ქვეყნებმა, არა და რა ენჯეო, რის ენჯეო, ჩვეულებრივი ასოები არიან და მეტი არაფერი.

**ეს ოხერი ასოები ისე გამრავლდნენ, რომ მათ ფონზე სხვა თითქმის არაფერი სჩანს, მათ შორის არც პოლიტიკური პარტიები, რომელთა უმრავლესობა თავიანთი არსით ისედაც ასოები იყვნენ და არა პოლიტიკური პარტიები, აგა, „გირჩი“ რომ არის, შარვალჩახდილები შიშველ უკანალს რომ გამოფენენ ხოლმე დასაგრილებლად ატეხილი დეკეულებივით, პოლიტიკური პარტიაა? პარტია კი არა ასოა, სწორედ.**

მოკლედ, ასეა თუ ისე, ენჯეოები, ანუ ასოები ისე გამრავლდნენ ჩვენში, რომ ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგს ისინი ადგენენ, უცხოეთიდან ჩამოსული სტრატეგიული დაუძინებელი მეგობრები, თუ რევიზორები პირველად მათ ეკითხებიან აზრს, სურვილებსა და მიზნებს. ამ ასოებსაც მეტი რა უნდათ! ფაქტობრივად თავიანთ ჭკუაზე დაჰყავთ ხელისუფლება – საკანონმდებლო იქნება, თუ აღმასრულებელი, პრეზიდენტი ხომ დაჰყავდათ და დაჰყავდათ, ის კი არა, იგი მგონი უკვე ერთ-ერთი მათგანია.

ახლა იმას არ იკითხავთ, რა განათლების, ნიჭისა და ინტელექტის მქონე სუბიექტებით არის გაძეძგილი ეს ენჯეოები?

ესენი არიან უცხოელი „პროფესიონალების“ (ბორელის მსგავსთა) მიერ ზომბირებული სრულიად უვიცი ან წერა-კითხვის მცირედმცოდნე ჯეელები, რომლებსაც შეიძლება ორღობის უნივერსიტეტების დიპლომებიც კი ჰქონდეთ, სადაც წერია რომ ამის მფლობელი არის იურისტი, ექიმი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი და ა. შ. მაგრამ ისინი ისეთივე იურისტები, ექიმები, ჟურნალისტები თუ ისტორიკოსები არიან, როგორიც ლუარსაბ თათქარიძე იყო იაპონიის იმპერატორის მემკვიდრე პრინცი.

იმათ ერთი რამ აქვთ დაზეპირებული და ბნედიანი ბავშვებივით იმეორებენ – რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია, ნატო და ევროკავშირი – ჩვენთვის გულდათუთქული მოყვარე! აშშ-ის ელჩი – მღვიძარე მზეთუნახავი, ხოლო ყოფილი პრეზიდენტი – ვივამედის კლკინიკის პალატა – ლუქსში მიჯაჭვული ამირანი! ამიტომ გაიძახიან გულამოსკვნილები: შინ ევროპაში დაგვაბრუნეთო. ამ უვიცების ბრბოსი ისე ეშინია ხელისუფლებას, რომლის რიგებშიც ბლომად ლიბერასტებიც არიან, რომ მათი შიშით აუცილებლად საჭირო კანონებიც კი ვერ მიუღიათ. მათ ყველაფრის უფლება აქვთ: ნებისმიერ დროს ქუჩის გადაკეტვის, ნებისმიერი ადამიანის შეურაცხყოფის, ხელისუფლების ცილისწამების, საკვანძო სახელისუფლებო პოსტებზე კანდიდატების წამოყენებისა და დანიშვნის, საქართველოს ისტორიის დამახინჯების, ეროვნული გმირების შეურაცხყოფისა და სხვა ათასი უბედურებისაც.

ისე რომ, ენჯეოკრატია, ანუ ასოთა ხელისუფლება უკვე მტკიცედ არის დამკვიდრებული!

სადღაც, რომში, ორიათასზე მეტი წლის წინ, ერთმა ჭკუიდან გადამდგარმა დიქტატორმა თავისი ცხენი სენატის წევრად აარჩევინა დაჩმორებულ და გამოსირებულ სენატორებს და დღეს გვიკვირს ეს! რა არის გასაკვირი, ნეტავი, აგერ ახლახან ერთ ჩვენებურ იდიოტს აშშ-სა და საფრანგეთის მთავრობამ მედლების კავალრობა უბოძეს და ვინმე სახაროვის (იგივე ცუკერმანის) პრემიით დაჯილდოვებასაც დაჰპირდნენ. აშშ-ის მზეთუნახავმა ელჩმა, ამ ჩვენს ყოფილ სახალხო დამსმენსა თუ დამცველს ახალი ენჯეოს, ანუ ასო-ს დაფუძნება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ მის მიერ დაარსებული ასო ყველაზე დიდი ასო იქნება და მისი შემწეობით ამ ასოს თავმჯდომარე შეიძლება პრეზიდენტადაც კი მოგვევლინოს ხვალზევით...

**ავაჰმე, ჩემო მამულო! – როგორც ელიზბარ ჯაველიძე იტყოდა. ქვეყნის ბედ-იღბალი ასოზე რომ იქნება დამოკიდებული, იმ ქვეყანაში გამოსირებულზე უკეთესი ხალხი, რატომ გაიზრდება, ნეტავი!**

ენჯეოკრატია კი არა, ქვეყნის ხელისუფლებაში არისტოკრატია რომ იყო, ზოგჯერ ისიც ვერ აკეთებდა სასარგებლო საქმეს და ასოების იმედზე ვართ! რომელსაც, ზოგჯერ, სტრატეგიული დაუძინებელი მეგობრების მიბაძვით, საზოგადოებრივ სექტორსაც უწოდებენ! რის საზოგადოებრივი, რა საზოგადოებრივი! მილიარდერი სოროსის დაფინანსებული ენჯეო საზოგადოებრივი როგორ იქნება, როდესაც ამ გარეწარ სოროსს თავისის სამშობლოს საზოგადოება ახლოსაც არ იკარებს. სწორედ ამ სოროსის „საზოგადოებიდან“ მოათრია „იმ“ კაცმა მარგველაშვილი, რომელიც პრეზიდენტად და მთავარსარდლად დაგვინიშნა. რა ხეირიც იმ „პლასტელინმა“ პრეზიდენტმა მოუტანა საზოგადოებას, ზუსტად ისეთსავე ხეირს დაგვაყრიან ენჯეოკრატიაში თავმოყრილი ასოები, ვიძახოთ მერე, კავკასიაში ჩვენ ვართ დომინანტი ერი და კავკასიის მშვიდობისა და სტაბილურობის გასაღები ჩვენს ხელთ არისო.

## საქმე ის არის, რომ მტერი მუდამ ეძებდა და ნახულობდა მისთვის საინტერესო ქვეყანაში ჭკუანაკლებ, უცოდინარ და უზნეო ადამიანებს, რომელთა მოსყიდვა და ნებისმიერ ავ საქმეში გამოყენება ძალიან ადვილია.




## ენჯეოკრატია!

გასაღებია არა, ბოქლომი! ჩვენ უკვე ყველაფრის გასაღები დაკარგული გვაქვს და თუ ენჯეოების, ანუ ასოების ეს უსაშველო შაბაში არ დავამთავრეთ, ვეღარც იმის გასაღებს ვიპოვით, ურომლისოდაც თავსაც კი ვეღარსად გამოვყოფთ!

ერთი უცხოელი სტუმარი მყავდა შარშან. ის კაცი ცნობილი მეცნიერია თავის ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ქალაქს რომ ვათვალიერებდი, ერთ ადგილზე გაოცებული შედგა და მკითხა: იმ მერხზე „ჩამომჯდარი“ ძეგლი ვისიაო. რეიგანის-მეთქი, ვუპასუხე. კი, მაგრამ მთელი ქალაქი შემოვიარე და სტალინის ძეგლთან რატომ არ მიმიყვანეო, – მისაყვედურა. სტალინის ძეგლი არ დგას თბილისში, – დარცხვენილმა მივუგე.

სტალინის ძეგლი არ გიდგათ და რეიგანს დაუდგით ძეგლიო, – ისე მკითხრა, რომ შეკითხვას არ ჰგავდა ეს ნათქვამი. ხმა არ გამიღია, ან კი რა უნდა მეთქვა? ხომ ვერ ვეტყოდი, ჩემი ქვეყნის ხელისუფლება, ფაქტობრივად, ასოების ხელშია-მეთქი.

ან იმას ხომ არ ვეტყოდი, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში პიტალო დეგენერატები ზრდიან-მეთქი სტუდენტ-ახალგაზრდებს, რომლებიც, დიდი ილიასი არ იყოს, „მტრის ვერ მცნობნი, მოყვარის მგმობნი, გარეთ მხდალნი, შინ ძლიერნი“ არიან-მეთქი!..

ის სტუმარი რომ მიდიოდა, მადლობა გადამიხადა იმისათვის, რომ შენთან სტუმრობამდე არ ვიცოდი მმართველობის ახალი ფორმა – ენჯეოკრატია თუ არსებობდა სადმეო, ახლა ვიცი და სხვებსაც გავაგებინებო.

რაღა გვიჭირს-მეთქი, – გავიფიქრე, მისთვის კი არაფერი მითქვამს. მის ქვეყანაშიც თუ დამყარდა ენჯეოკრატია, მიხვდება რა დღეშიც მისი მასპინძელიც იყო და თუ ღმერთმა ქნა და ნეოლიბერასტულმა დღის წესრიგმა ჩვენი ჭირი წაიღო, ბედი ჰქონია იმ ჩემს მეგობარსა და მის ქვეყანას, ღმერთმა ხელი მოუმართოს!

აქ კი, ჩვენთან ერთადერთი სამუშაო არაკვალიფიციური მუშახელისთვის ენჯეოა. რა ჯობია: განათლება ამას არ ჭირდება და გონიერება, პროფესია და შრომის უნარი. ერთადერთი რამე უნდა დაიზეპირო: რუსეთს აგინო, შინ მინდა ევროპაშიო, – იძახო და რუსეთუმეები ეძახო, იმათ ვისაც თავის სამშობლოდ საქართველო მიაჩნია და გეოგრაფიაც აქვთ ნასწავლი სკოლაში.

ჰო, მართლა, ,,მოლოტოვის კოქტეილის“ სროლაც უნდა იცოდე პოლიციელთათვის და თან ისიც უნდა გჯეროდეს, რომ ამისთვის ვერავინ დაგსჯის. ხოლო რატომ ქვია ,,მოლოტოვის კოქტეილი“ ცეცხლის წამკიდებელ ამ ხელყუმბარას, ამის ცოდნა შენი ჭკუის საქმე არ არის.

**საამურია ენჯეოელების, ანუ ასოების ცხოვრება!**

**მაგრამ...**

**დიახ, „მაგრამ“-შია საქმე. საქმე ის არის, რომ მტერი მუდამ ეძებდა და ნახულობდა მისთვის საინტერესო ქვეყანაში ჭკუანაკლებ, უცოდინარ და უზნეო ადამიანებს, რომელთა მოსყიდვა და ნებისმიერ ავ საქმეში გამოყენება ძალიან ადვილია. ასეა დღესაც. ჩვენი ქვეყნის მტრებისა და არაკეთილმოსურნეთა ძალისხმევა სწორედ ენჯეოებსა და ენჯეობად, ანუ ასოებად ქცეულ პარტიებზეა, რომელთა მოსყიდვა ძალიან იაფი უჯდება, ისევე, როგორც უცხოეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაციებში ქართველი სამხედროების გამოყენება....**

რამდენი ქართველი ვაჟკაცი შეეწირა საქართველოს „ინტერესების“ დაცვას ავღანეთსა თუ ერაყში, სომალში თუ სხვაგან! ასე იქნება ამ „მუქთა“ ფულის მჭამელ ენჯეობთან დაკავშირებითაც. როგორც კი გარეშე და შინაური მტრები საქართველოში არეულობასა თუ „მაიდნის“ მოწყობას შეეცდებიან, ამ საქმეში პირველ რიგში „საამურ“ ცხოვრებას დახარბებულ ენჯეოებსა და ენჯეოებად ქცეულ „პოლიტიკური“ პარტიების, ანუ ასოების ჩართვას შეეცდებიან და გამოუვათ კიდეც, თუმცა ერთი რამე არ იციან ამ ასოებმა...

**ცნობილი რომანის პერსონაჟს დათა თუთაშხიას უნდა დავესესხო, მეწისქვილე ბონიას რომ მოძღვრავს ის: ენჯეოუბედურებო, მგელი რომ სანადიროდ გამოდის, იმას ფიქრობს, ისეთ ვინმეს არ გადავეყარო რომ აქეთ შემჭამოსო. მეტი ფიქრი არ იცის მგელმა, მგელია და იმიტომ... თქვენ ენჯეო-ასოებო და პარტია-ასოებო, მგელზე უკეთესი აზროვნება არ შეგიძლიათ? ხომ არ ფიქრობთ „მაიდანს" თუ მოინდომებთ ისევ ის პოლიციელები და მათი უფროსები დაგხვდებიან.**

**„მოლოტოვის კოქტეილებით" დაუსჯელად რომ წვავდით და მერე ბოდიშებსაც ახდევინებდით ხელისუფლებას. ქართველი ხალხი არც მომკვდარა და უუუდიდესი ნაწილი არც ასოებად გადაქცეულა - ქვეყანას თუ დაემუქრებით, თქვე იდიოტებო, ვერც უკრაინელი „გმირი" (თუ ვირი!) მამულაშვილი გიშველით, ვერც აქაური პედარასტების საძმოები და ვერც თქვენი უცხოელი ,,გენიოსი" ჭკუის დამრიგებელი „პროფესორები".**

**სხვათა შორის, ვერც ხულიგანი იმპიჩმენტად წოდებული ე.წ. პრეზიდენტი გამოგადგებათ თანამდგომად, თქვენს წინ იხილავთ ქართველთა ლაშქარს, რომლებიც ერთ ადგილას შეგტენიან ალმოდებულ „კოქტეილებსა" და იმ დროშის ტარებს, რომელსაც ასე ბრიყვულად აფრიალებთ ჩვენს თვალწინ!**

**ასე იქნება ეს.**

მე ის მაინტერესებს, რას იტყვიან მაშინ ის არსებები, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რომ სამთავრობო დაწესებულებებზე შტურმი და აალებული ,,მოლოტოვის კოქტეილების" სროლა, მანქანებისა და შენობების დაწვა გამოხატვის თავისუფლებააო.

ისინი უსათუოდ ნახავენ, რა არის გამოხატვის თავისუფლება, ეროვნული გმირებისა და წმინდანების შეურაცხყოფის საფასური და ღვთის რისხვა, რაც ნამდვილი და არა დასავლეთის მიერ მოგონილი ხალხის სახელით განხორციელდება.

ნამდვილად მეცოდება ის ხალხი, რომელიც ნეოლიბერალურ ჭაობშია ჩათრეული და თუ ჯორივით მომთმენ მასას, მოთმინების ფიალა აევსო და მათგან მომავალი საფრთხე დაინახა, მერე ის აღარ გაარჩევს უფასოდ მოტყუებულ ხალხს იმათგან, ვისაც ფულის გულისთვის კაცის მოკვლა შეუძლია, ისინი არ მეცოდებიან და არც არიან შესაცოდები, მე მეცოდება ის უმეცარი ბრბო, რომელსაც ჰგონია, ოკეანის გაღმა დღე და ღამე მათ კეთილდღეობაზე ფიქრობენ ძია სემი და ბაბუა ჰანსი, არა მარტო ფიქრობენ, არამედ სრა-სასახლეები აქვთ გამზადებული მათთვის, სადაც ძვირფასი დელიკატესებით გაძეძგილი სუფრებია გაშლილი.



**ეს ოხერი ასოები ისე გამრავლდნენ, რომ მათ ფონზე სხვა თითქმის არაფერი სჩანს, მათ შორის არც პოლიტიკური პარტიები, რომელთა უმრავლესობა თავიანთი არსით ისედაც ასოები იყვნენ და არა პოლიტიკური პარტიები, აბა, ,,ბირჩი" რომ არის, შარვალჩახდილები შიშველ უკანალს რომ გამოფენენ ხოლმე დასაბრილებლად ატეხილი დეკეულებივით, პოლიტიკური პარტიაა? პარტია კი არა ასოა, სწორედ.**

**ავაჰმე, ჩემო მამულო! — როგორც ელიზბარ ჯაველიძე იტყოდა. ქვეყნის ბედ-იღბალი ასოზე რომ იქნება დამოკიდებული, იმ ქვეყანაში გამოსირებულზე უკეთესი ხალხი, რატომ გაიზრდება, ნეტავი?!**

იმ საცოდავებს, მართლა ჰგონიათ, რომ შინ, ევროპაში ელოდებიან თავისიანები. მათი ბრალი კი არ არის,ეს ათეული წლებია ბოროტი თუ, „კეთილი" ხელისუფლება დღენიადაგ ჩასჩიჩინებს ხალხს, „იქ" არის თქვენი ბედნიერება. პროპაგანდის საშუალებები მათ ხელშია და ზემოქმედების ტექნიკა...

უვიცობისა და უზნეობის მორევში ჩაფლული ხალხის მოტყუებას რა უნდა? ჩვენი „განათლების" სისტემა ხომ თაობათა გამოთაყვანების ყველაზე ეფექტური იარაღია და ეს იარაღი უცხოელების ხელშია! ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი პროფესორები რომ გვეყოლება, როგორიც ლევან ბერძენიშვილია, (**„ბერძენიშვილების" შესანიშნავი გვარის წინაშე „მის" მაგივრად ვიხდი ბოდიშს**)! განათლების სამინისტროს არსებობა დიდ ეჭვს იწვევს ჩემში.

ჩემგან არ გესწავლება, ნიჭიერო მკითხველო, მაგრამ შეგახსენებ მაინც: ადამიანისა თუ ქვეყნის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როდესაც პრობლემებისადმი წაყრუება, გულგრილობა თუ გაუბედაობა დაუშვებელია. ჩვენ ახლა სწორედ ასეთი დრო გვიდგას, ყოფნა- არყოფნის ალტერნატივა: ან შევეგუებით ენჯეოკრატიასა და ასოების პოლიტიკურ პარტიებად მეტამორფოზას და არყოფნის ახლო პერსპექტივას.

ან თვალს გავახელთ, ყურებს გამოვიბერტყავთ და დავიფრენთ ამ რძენაწყენი უვიცების ბრბოს, რომელსაც ზოგი პოლიტიკურ პარტიას, ზოგი ენჯეოსა თუ ასოციაცია-ფონდებს ეძახის, ზოგი კი სულაც ასოებად მოიხსენიებს, ჩვენი ყოფნის გარანტიას მივიღებთ.

ეს ძნელი ნურავის ეგონება. ეს იდიოტები მამაცი მეომრები არავის ეგონოს. გაიხსენეთ ნაცების „გულადი" ზელადი ცემა-ტყეპით რომ დაიფრინეს ხარაგაულელმა ქალებმა. ჰო, ლევან ხაბეიშვილი იყო ეს! არც სხვის ომში მეომარი, თუ მეომრების შეეშინდეს ვინმეს.

ისე რომ, სულ ტყულად კი არ შემოგვჩივლა სუსის, ანუ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსმა: ჩვენი შინაური და გარეული იდიოტები გადატრიალებით გვემუქრებიანო. იმათი რომ არ შინებოდა, ჩვენ კი არ შემოგვჩივლებდა, ჩუმად აკრიფავდა იმ მავნებლებს და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გავიგებდით ამას. ჰო, თვალს რომ ვეღარ მოვკრავდით ტელეეკრანებსა და შუა ქუჩაში მოღრიალეებს, ე, მაშინ!

ამიტომ, „ადექ მგლის მუხლი მაიბი, რამ წაგახდინა ყაძახო"! უფრო სწორად, „რამ წაგახდინათ, კაცებო, სისხლი ხომ არ გაგიშრათ?

**„ამ ჩვენს ტანჯულ მიწას მტერი გვეცილება დაუძინებელი, აუცილებელი დაცვა მამულისა, სიცოცხლე არ არის აუცილებელი!".**

**მერამდენედ ვიმეორებ ამას!**

**ზურაბ ცუცქირიძე,**

**პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ღირსების ორდენოსანი.**





# <u>ბენიამინ ნეთანიაჰუ</u>: ვიწყებთ ხანგრძლივ, რთულ ომს, რომელიც ,,ჰამასის" თავდასხმამ გვაიძულა

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ოფისის განცხადებით, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო „ოპერაციული გადაწყვეტილებების სერია, რომლებიც მიზნად ისახავს „ჰამასის" და პალესტინის ხელისუფლების სამხედრო და სამთავრობო შესაძლებლობების განადგურებას".

**„ჩვენ ვიწყებთ ხანგრძლივ და რთულ ომს. ომი გვაიძულა „ჰამასის" თავდასხმამ. პირველი ეტაპი ამ საათებში დამთავრდება ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი მტრის ძალების უმრავლესობის განადგურებით. ამავდროულად, ჩვენ დავიწყეთ შეტევითი ფორმირება და ის გაგრძელდება შესვენების გარეშე, მიზნების მიღწევამდე",** — განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ისრაელის მიზანია, დააკარგვინოს „ჰამასს" უნარი და სურვილი, დაემუქროს და ზიანი მიაყენოს ისრაელის მოქალაქეებს მრავალი წლის განმავლობაში.

**„ჩვენ აღვადგენთ უსაფრთხოებას ისრაელის მოქალაქეებისთვის და გავიმარჯვებთ",** — დასძინა ნეთანიაჰუმ.

როგორც ისრაელის პრემიერ-მინისტრის ოფისის განცხადებაშია აღნიშნული, მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის არის ელექტროენერგიის, საწვავისა და საქონლის მიწოდების შეჩერება. ღაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტები შაბათს, გამთენიისას გაუშვეს. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა მოძრაობა „ჰამასმა" აიღო. ისრაელის მედიაში გავრცელებული ბოლო ინფორმაციით, „ჰამასის" სარაკეტო თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 300-მდე გაიზარდა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

# ისრაელზე ,,ჰამასის" თავდასხმას ლიდერები ასე ეხმაურებიან...

**„ჰამასის" „ბოევიკების" მიერ ისრაელზე ბოლო წლებში განხორციელებულ ყველაზე მასშტაბურ თავდასხმას, მსოფლიო ლიდერები გამოეხმაურნენ.**

**„კატეგორიულად ვგმობთ ისრაელის მოქალაქეებზე მასირებულ სარაკეტო იერიშებს. ძალადობა და ტერორი დიალოგისკენ მიმავალ გზებს ართულებს. ვაკვირდებით სიტუაციას",** — დაწერა X-ში ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჰაჯა ლახბიბმა.**

**„ვგმობთ ისრაელზე „ჰამასის" ტერორისტების ამ თავდასხმას. ისრაელს აქვს უფლება, რომ ასეთი მუხანათური თავდასხმებისგან თავი დაიცვას",** — წერს ევროკომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენი.**

ეგვიპტის საგარეო უწყებამ ისრაელსა და პალესტინელებს შორის ესკალაციის სერიოზულ შედეგებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ორივე მხარემ არ უნდა დაუშვას მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა.

**ისრაელზე განხორციელებული ტერორისტული შეტევები კატეგორიულად დაგმო** საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა.**

ისრაელში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** გამოეხმაურა.

**„ვგმობ ისრაელის სახელმწიფოზე და ისრაელის მოქალაქეებზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმას",** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში" წერს.

მთავრობის მეთაური თანაგრძნობას უცხადებს ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და ხალხს, დაშავებულებს კი სწრაფ გამოჯანმრთელებას უსურვებს.

**„ვგმობ ისრაელის სახელმწიფოზე და ისრაელის მოქალაქეებზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმას, სიცოცხლის ხელყოფასა და უამრავი ადამიანისთვის სერიოზული დაზიანებების მიყენებას. გულითადად თანავუგრძნობ ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და ხალხს, ხოლო ყველა დაშავებულს სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ",** — აღნიშნავს **ირაკლი ღარიბაშვილი** სოციალურ ქსელ „ტვიტერში".

**რუსეთმა მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდა.** როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ ბოგდანოვმა განაცხადა, რუსეთი ისრაელთან, პალესტინელებთან და არაბულ ქვეყნებთან კონტაქტზე იმყოფება.

**ირანმა კი პალესტინელებს ეს შეტევა მიულოცა.** ამის შესახებ ირანის უმაღლესი ლიდერის მრჩეველმა არაჰი საფავიმ განაცხადა.

**„ჩვენ პალესტინელებს მხარს დავუჭერთ პალესტინისა და იერუსალიმის სრულ გათავისუფლებამდე".** — განაცხადა მან.

**„ჰამასის" ტერორისტებს მხარი** დაუჭირეს დაჯგუფება „ჰესბოლამ" და პალესტინური ავტონომიის ლიდერმა **მაჰმუდ აბასმა.** აბასის თქმით, **პალესტინელებს საკუთარი თავის დაცვის უფლება უნდა ჰქონდეთ.**

**იტალიის ხელისუფლება აცხადებს, რომ მხარს უჭერს ისრაელის უფლებას, რომ თავი დაიცვას ჰამასის ამ სასტიკი ტავდასმისგან. იტალია კატეგორიუალდ გმობს მშვიდობიანი მსოახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას.**

**ისრაელს სრული სოლიდარობა გამოუცხადა ესპანეთმა, ჩეხეთმა, პოლონეთმა, უკრაინამ, დიდმა ბრიტანეთმა.**

**ყატარმა კი მომხდარზე პასუხისმგებლობა ისრაელს დააკისრა. ოფიციალურმა დოჰამ მოუწოდა მხარეებს თავშეკავებისკენ, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა არ დაუშვას ისრაელის მიერ ამ მოვლენების გამოყენება ღაზას სექტორის მოსახლეობის წინააღმდეგ არაპროპორციული ომის გასაჩაღებლად.**

თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** მოუწოდა **ისრაელს და პალესტინელებს მტრული ქმედებებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა, რასაც შეუძლია სიტუაცია კიდევ უფრო გაართულოს.**

# ილჰამ ალიევი საქართველოში!



**გუშინ საქართველოს ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი სამთავრობო დელეგაციასთან ერთად. დელეგაცია შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს. შეხვედრის შემდეგ ლიდერებმა მედიისთვის მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს.**

## ილჰამ ალიევი: ირაკლი ღარიბაშვილის ლიდერობით საქართველო ვითარდება თავდაჯერებულად, მოსახლეობის კეთილდღეობა იზრდება!

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ლიდერობით საქართველო ვითარდება თავდაჯერებულად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება აბსოლუტურად არის უზრუნველყოფილი და ეს არის ქვეყნის მოსახლეობის სტაბილურობის გარანტია,** – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ერთობლივი განცხადებების დროს აღნიშნა.

**„საქართველოში ხშირად ჩამოვდივარ და ყოველ ჯერზე ახალ ადგილს აღმოვაჩენ ხოლმე, ყოველ ჯერზე ეს ახალი ადგილი აღფრთოვანებას იწვევს ჩემში. არა მარტო ბუნებაზე და სილამაზეზე მაქვს საუბარი, არამედ წინსვლაზე და პროგრესზე, დიდი ენთუზიაზმია და დიდი სიამოვნებით ვხედავ ამ წინსვლას. პრემიერ-მინისტრის ლიდერობით საქართველო ვითარდება თავდაჯერებულად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება აბსოლუტურად არის უზრუნველყოფილი და ეს არის ქვეყნის მოსახლეობის სტაბილურობის გარანტია. ხალხის ნდობა მთავრობის მიმართ არის ამის მასაზრდოებელი წყარო. მთავრობის ნათელი ხედვა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდეს. ეს ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს, განვავითაროთ ეკონომიკა, ინფრასტრუქტურული პროექტები და ასევე, კეთილდღეობა მოსახლეობისა, რომელიც იზრდება.**

მე, როგორც საქართველოს მეგობარს, მთელი გულით მიხარია და ვულოცავ ბატონ პრემიერს ყველა ამ მიღწევას. ჩვენ, ყველანი, ვართ საქართველოს ძმები. მადლობას გიხდით ამ კეთილი მასპინძლობისთვის და გიწვევთ აზერბაიჯანში", – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

## ირაკლი ღარიბაშვილი: განუზომელია ჰეიდარ ალიევის ღვაწლი ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში!

**მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო ბატონი ილჰამ ალიევის მამის, ლეგენდარული პიროვნების, ჰეიდარ ალიევის ღვაწლი ზოგადად ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, **ილჰამ ალიევთან** შეხვედრის შემდეგ, ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ილჰამ ალიევს და აზერბაიჯანელ ხალხს ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილე მიულოცა.

**„ასევე, კიდევ ერთხელ მინდა, აღვნიშნო ბატონი ილჰამ ალიევის მამის, ლეგენდარული პიროვნების, ჰეიდარ ალიევის ღვაწლი ზოგადად ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში. მისი როლი არის უაღრესად დიდი ამ ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. ჩვენ ახლახან ერთად დავათვალიერეთ გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილეს და კიდევ ერთხელ მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ბატონ ილჰამ ალიევს და მთელს აზერბაიჯანს მამათქვენის 100 წლის იუბილე. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა, მოგესალმოთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, გისურვოთ მშვიდობა, წარმატება და კეთილდღეობა"!**

## სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ უნდა შევძლოთ, თავადვე გადავწყვიტოთ რეგიონის საკითხები!

**ილჰამ ალიევთან შეხვედრაზე მიმოვიხილეთ უსაფრთხოების საკითხები, რეგიონში არსებული ვითარება და, ზოგადად, მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების საკითხები, რომელიც საკმაოდ დაძაბულია მთელ მსოფლიოში.** მე ბატონ პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დავუდასტურე ჩვენი მხარდაჭერა და პატივისცემა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის...

**„მადლიერები ვართ, რომ აზერბაიჯანი ყოველთვის მტკიცედ უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ასევე, დიდი იმედი, მინდა, გამოვთქვა, რომ სომხეთთან ძალიან მალე გაფორმდება სამშვიდობო შეთანხმება. ამ საკითხში სრული თანხვედრა გვაქვს, რომ სამშვიდობო შეთანხმება, ვფიქრობ, სამხრეთ კავკასიაში შეუწყობს ხელს გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებას, რომელიც მოიტანს კეთილდღეობას ჩვენი ხალხებისთვის – სომხეთისთვის, სომეხი ხალხისთვის, აზერბაიჯანისთვის, ქართველების და საქართველოსთვის.**

**ასე რომ, ჩვენ ამ პროცესში ყოველთვის გვეკავა მიუკერძოებელი, ნეიტრალური პოზიცია. ჩვენ ახლაც მზად ვართ, რომ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ მედიაციის, ფასილიტაციის თუ, ზოგადად, მეგობრული ფორმატის ჩამოყალიბებაში. თბილისი ყოველთვის მზად არის, მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში, ჩვენი მომავალი უნდა იყოს მშვიდობიანი, სტაბილური და ჩვენ, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ უნდა შევძლოთ თავადვე გადავწყვიტოთ რეგიონის საკითხები და ჩვენი შემდგომი განვითარება"...**

## გამოწვევები კვლავ რჩება, მშვიდობა ჯერ ისევ სრულად არის დასამყარებელი სამხრეთ კავკასიაში!

**„უპირველეს ყოვლისა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მადლობელი ვარ ამ მოწვევისთვის. მიხარია, რომ ასეთ მშვენიერ ადგილას ვიმყოფები, თბილისთან ახლოს. ბატონ პრემიერთან ჩემი საუბრის დროს აღვნიშნე, რომ საქართველოს ნებისმიერი კუთხე, ნებისმიერი ადგილი არის მშვენიერი და ლამაზი და ეს არის ყველაზე დიდი აქტივი ხალხთან ერთად. ორივე ლიდერმა, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და ვაკეთებთ, რათა გავაძლიეროთ ჩვენი მეგობრობა, ჩვენი პარტნიორობა ერებს შორის. როგორც ბატონმა პრემიერმა უკვე ბრძანა, ეს შეხვედრები ძალიან ხშირია და ტრადიციულია, ემსახურება ჩვენი ქვეყნების დაახლოებას და ჩვენი მეგობრობის გაძლიერებას. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ერები ძალიან კეთილმეზობლურად არსებობენ, ძალიან მეგობრულია გარემო და სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვისაც მნიშვნელოვანია. ეს არის უპირველესი მნიშვნელობის და ვიყენებთ ამ შესაძლებლობას მე და ბატონი პრემიერი და მადლობას გიხდით ჩვენი ეროვნული ლიდერის, ბატონი ჰეიდარ ალიევის პატივისცემისთვის. მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს და საქართველოს მთავრობას. როგორც უკვე იქნა ნახსენები, წლების განმავლობაში ჩვენ აღვნიშნავთ ბატონი ჰეიდარის იუბილეს და საქართველოშიც აღინიშნება ეს ღონისძიება. ამ წლის განმავლობაში გამოფენები და სხვა ღონისძიებები გაიმართება. მე ვნახე ბატონი ჰეიდარის და ბატონი ედუარდის ფოტო. ამ ორ დიდ ლიდერს ჰქონდათ ძალიან ძლიერი მეგობრობა, საბჭოთა პერიოდში ჰქონდათ ძალიან ძლიერი ურთიერთობა. საბჭოთა აზერბაიჯანის, საბჭოთა საქართველოს ლიდერებს ჰქონდათ ძალიან დიდი ძალისხმევა ჩადებული, რათა ქვეყნები დაეახლოებინათ, ერები დაეახლოებინათ. ეს ორი ლიდერი გამორჩეული იყო საბჭოთა პერიოდშიც, მათ ჰქონდათ გამბედაობა, შესაძლებლობა და ძალიან ძლიერი ბმა თავიანთ მიწასთან, თავიანთ ერებთან და ეს არის ბედისწერა, რადგან ერთდროულად იყვნენ ლიდერები დამოუკიდებელი აზერბაიჯანის და დამოუკიდებელი საქართველოსი. ეს იყო ყველაზე გამოწვევებით აღსავსე პერიოდი. ეს იყო ძალიან ბობოქარი პერიოდი, რომელსაც ვიხსენებთ და მათი ლიდერობა იყო გამორჩეული, დაეხმარა აზერბაიჯანს და საქართველოს, გაეძლიერებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა. მათი ძალისხმევის, მათი შრომის წყალობით, დამოუკიდებელი საქართველო, დამოუკიდებელი აზერბაიჯანი განვითარების გზას ადგანან. ჩვენ, მათი სამართალმემკვიდრეები ვაგრძელებთ მათ მიერ დაწყებულ საქმეს და კიდევ უფრო წინ გვყავს წაყვანილი ქვეყნები, ჩვენი ერები. გამოწვევები კვლავ რჩება, პრობლემები კვლავ არსებობს, მშვიდობა ჯერ ისევ სრულად არის დასამყარებელი სამხრეთ კავკასიაში, და დღეს ბატონ პრემიერთან საუბრის დროს საუბარი გვქონდა ამაზე. სამხრეთ კავკასიას სჭირდება მშვიდობა, ახლა არის სწორედ ის დრო. როგორც ბატონმა პრემიერმა უკვე ბრძანა, ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, ისევე როგორც საქართველო უჭერს მხარს აზერბაიჯანის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. საერთაშორისო ორგანიზაციებში ერთმანეთს ყოველთვის ვუჭერთ მხარს ყველა სხვა საკითხზეც, რომელიც ჩვენი ქვეყნების, ჩვენი ერების ინტერესებშია და მხარდამხარ ვუდგავართ ერთმანეთს. ეს არის ფუნდამენტური პრინციპი საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო სამართლის დარღვევები, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევები აბსოლუტურად მიუღებელია და ამაზე გვაქვს შეთანხმება და სრული თანხვედრა", – განაცხადა ილჰამ ალიევმა.**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა






# ახალი სიტყვა არქეოლოგიურ მეცნიერებაში

**მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა პრეზიდიუმის სხდომა.**

**ისტორიიის მეცნიერებათა დოქტორმა ამირან კახიძემ გააკეთა მოხსენება – „ტრანსკონტინენტურ სივრცეში პოლიმეტალების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი მეგალითური კულტურის უძველესი კერების კვლევის უმთავრესი შედეგები (ნოვაციები, ძირითადი მახასიათებლები, გავრცელების არეალი, პერსპექტივები)“.**

მან აღნიშნა, რომ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი მეტად ნაყოფიერ საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს ახორციელებს ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესწავლის მიზნით. ეს განსაკუთრებით ითქმის ბოლო წლების მეტად მნიშვნელოვან ნოვაციურ აღმოჩენებზე (მხედველობაშია 2014-2023 წწ). ტრანსკონტინენტურ სივრცეში აღმოჩენილ იქნა სრულიად ახალი სახეობის მეგალითური კულტურის ნიმუშები, რომელიც უკავშირდება მილიონობით წლების მომცველ ქვის ხანიდან ლითონის საუკუნეზე გარდამავალ ეპოქებს. მიკვლეული იქნა 60-ზე მეტი კერა, მათ შორის 12 გახდა თანამიმდევრული, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების ობიექტი. ახალი სიტყვა ითქვა არქეოლოგიურ მეცნიერებაში.

შეიქმნა ახალი ნოვაციური სურათი ლითონდამუშავების ერთიან ციკლთან დაკავშირებით. ახლად გამოვლენილი ადრე უცნობი არტეფაქტების სწორი მეცნიერული ატრიბუციის შედეგად ნათელი გახდა, რომ საინტერესო მიგნება გახლდათ საწარმოო კერების მდინარეთა ხეობებსა თუ კანიონებში მოწყობის იდეა.



ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი კულტურა არ გახლავთ ლოკალური ფენომენი. წინასწარეული სადაზვერვო სამუშაოების მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ მსგავსი მეგალითური კულტურის ძეგლებით დაფარულია მთელი საქართველო, ასევე ითქმის მეზობელი თურქეთის მიმართ – სადაზვერვო სამუშაოების გზით უკვე მიკვლეულია არაერთი ბრწყინვალე ძეგლი მურღულ-ართვინ-ბორჩხადან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათამდე (ჯერჯერობით, მოხერხდა ამ ადგილების მიმოხილვა). კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით მიწათმოქმედების და მესაქონლეობის მსგავსად მეგაკულტურის არეალში ექცევა ევრაზია, ავსტრალია, აფრიკა და ამერიკა. უახლესი მონაცემების მიხედვით შესანიშნავად ჩანს, რომ ჩვენმა შემოქმედმა წინაპრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პოლიმეტალების მეტალურგიის განვითარების ისტორიაში. ბატონი ამირან კახიძის მოხსენებამ პრეზიდიუმის წევრთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

**პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისიის საქმიანობის შესახებ გააკეთა კომისიის სწავლულმა მდივანმა, აკადემიკოსმა რამაზ შენგელიამ.** მან აღნიშნა, რომ პოპულაციური გენეტიკა და მისი სუბდისციპლინა პალეოგენეტიკა (არქეოგენეტიკა) ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და მზარდი სამეცნიერო მიმართულებაა მსოფლიოში. მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ჩინეთი, თურქეთი, სომხეთი, ირანი, ისრაელი და სხვ.) გენეტიკური კვლევები პრიორიტეტულ და სტრატეგიულ მიმართულებად ითვლება, რადგან იგი გვაძლევს მოსახლეობის გენეტიკური ისტორიის სრულ სურათს, ინფორმაციას ეთნოსების დომინანტური (მაჟორული) ჰაპლოჯგუფების ისტორიაზე, წარმოშობის ადგილსა და თარიღზე, მათ მიგრაციებსა და სხვა პოპულაციებთან ურთიერთობაზე. შესაბამისად, ეს ახალი მეცნიერება არის მძლავრი ინსტრუმენტი ერების ისტორიის ახლებურად გადააზრებისა; დღესდღეობით, პოპულაციების გენეტიკური და პალეოგენეტიკური მონაცემების გარეშე, ფაქტობრივად, აღარ წარმოებს კვლევები ისტორიაში, არქეოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ეთნოგრაფიასა და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დისციპლინებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ სამეცნიერო დარგის გარეშე განვითარებას ვერ ჰპოვებენ ეს მნიშვნელოვანი და ჩვენი ქვეყნისთვის ტრადიციული სკოლები. შესაბამისად, პოპულაციური გენეტიკა (პალეოგენეტიკა) ქართველოლოგიური კვლევებისთვის აუცილებელი და შეუცვლელი კომპონენტია;

ამასთანავე, კავკასიისა და, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობისა და არქეოლოგიური ოსტეომასალის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო მეცნიერების განვითარებისთვის, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია უძველესი ჰაპლოჯგუფი, რომელიც მეცნიერებაში „კავკასიელი მონადირე-შემგროვებლის (CHG - Caucasus hunter-gatherer)“, უნიკალურ კლასტერად არის აღიარებული.

აკად. რ. შენგელიამ მიმოიხილა ის სამუშაო, რაც კომისიამ მოსახლეობის გენოფონდის შესწავლის საქმეში განახორციელა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**

# ისევ ვერეს ხეობისა და გმირთა მოედნის პრობლემები

**თბილისის ზოოპარკის მიდამოებში მდ. ვერესთან დაკავშირებული 2015 წლის ტრაგიკული მოვლენები ყველას გვახსოვს... მის მერე ბევრი რამ გაკეთდა ხეობაში, რათა მსგავსი კატაკლიზმები არ განმეორებულიყო.**

მდინარის შუა წელის ადგილას ქალაქის მესვეურებმა და შესაბამისი სააგენტოს სპეციალისტებმა ბევრი რამ მოაგვარეს რათა მომავალში მდინარის კალაპოტის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას უსაფრთხოდ ეცხოვრა.

მაგრამ აქვე გვინდა მოვიყვანოთ ჩვენთვის ცნობილი ფაქტობრივი მასალა და დავარწმუნოთ მკითხველი, რომ სამწუხაროდ, სულ ასე არ არის.

ქვემოთ მოცემული ფაქტები პირველად არის მოპოვებული სტუდენტების მიერ როგორც საველე პრაქტიკული კვლევების ჩატარების შედეგად, ასევე აეროგადაღების საშუალებითაც.

მდ. ვერეს, მის ზემო წელის მთავარ (მთელი წლის განმავლობაში მოქმედ), ღელეებში, ერთი შეხედვით „უწყინარი“ ნაკადულებიდან აღსანიშნავია სკვითორი, ლახტის



ციხის წყალი, ვენახების წყალი, ხოლო მას შუა წელთან უერთდება ბეთანიის წყალი.

აეროგადაღებების რუკების დეშიფრების საშუალებით დათვლილია კიდევ 50 მშრალი ღელე, რომელნიც წვიმის დროს ან თოვლის საფარის დნობის შემდეგ უკვე ქალაქის ტერიტორიაზე მიედინება სრულფასოვანი მდინარის სახით. გზადაგზა ეს „ნაკადულები“ რეცხავენ მათივე შექმნილ ტერასებსა და დამეწყრილ ქანებს.

მაგრამ მთავარი, რისკენაც უნდა მივაპყროთ ქალაქის მერიის ყურადღება (ჯერ კიდევ სამი თვის წინ ვცადეთ მათთან შეხვედრა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ), გახლავთ გმირთა მოედნის პრობლემა, რადგან მის ქვეშ დღესაც გროვდება უზარმაზარი წყლის მასა!

იხ. 6 გვ.

**30 ოქტომბერს, „თბილისობის“ დღესასწაულზე, წლევანდელი საპატიო თბილისელების დაჯილდოებაზე არჩილ ხომასურიძის გვარი და სახელი რომ გავიგონე, სიხარულით შევძახე:**

**„ჩემი მკურნალი ბატონი არჩილი!“ თუმცა, მიკერძოება რომ გვერდზე გადავდო, ჩვენი თანაქალაქელებისთვის, მთელი საქართველოსთვის პროფესორი არჩილ ხომასურიძე ოჯახის წევრივით ახლობელია, შინაურია, რწმენა და იმედია...**



# დიდი „ოსკარის“ მფლობელი



# არჩილ ხომასურიძე „საპატიო თბილისელია“

არჩილ ხომასურიძე ნამდვილი, როგორც იტყვიან ხოლმე, „ნაღდი თბილისელი კაცია“, აქ დაბადებული, გაზრდილი, თბილისურ კოლორიტს, ადათ-წესებს შეზრდილი კაცია, რომელსაც მერე, წლების განმავლობაში, მოსკოვში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისა თუ პროფესიული მივლინებებით წასულს, არათუ დაუკარგავს თბილისისთვის დამახასიათებელი რაინდული, ქართული მენტალობა, არამედ ანცვიფრებდა კიდეც უცხოელებს თავისი არისტოკრატული დახვეწილობით და ფიზიკური სრულყოფილებით...

მას არაერთხელ უთქვამს საქვეყნოდ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შემეძლო ცხოვრება, სადაც მთავაზობდნენ სასათბურე პირობებს, მაგრამ მე საქართველოს, თბილისის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომედგინა და არც ახლა წარმომიდგენია!..

არჩილ ხომასურიძე თითქმის 30 წელიწადი ხელმძღვანელობდა იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს, მის სახელს უკავშირდება არაერთი პროგრესული სიახლე ქართულ მედიცინაში. კერძოდ, კონტრაცეპციის, ლაპაროსკოპიული, ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიების დანერგვა, არა მხოლოდ საქართველოში პირველად, არამედ, რეგიონში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. იგი გახლავთ რეპროდუქტოლოგიის დარგის დამფუძნებელი, რომლის ძალისხმევით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც რეპროდუქტოლოგია ოფიციალურად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად.

მას შემდეგ საქართველოს რეგიონებშიც შეიქმნა რეპროდუქციული სამსახურების ქსელი. დაიწყო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული საბჭოს ფუნქციონირება, დაარსდა პირველი რეპროდუქტოლოგიური კათედრა, მომზადდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამები და ა.შ.

დიახ, ყველაფერ ამის ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლავთ სწორედ პროფესორი არჩილ ხომასურიძე, უწესიერესი კაცი, რომელსაც არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი და არასდროს წარმოაჩენს თავის პერსონას განსაკუთრებულად. მეტიც, ზოგჯერ იტყვის ხოლმე, ბევრი არაფერი გამიკეთებიაო.

ბატონი არჩილისა და მისი თანამებრძოლების, მართლაც გმირი მედიკოსების დაუღალავი შრომით განხორციელებული ღონისძიებების შედეგები დღევანდელ მწვავე დემოგრაფიულ სიტუაციაზე, თავისთავად ცხადია, ჯეროვნად ისახება. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო 25 წლის განმავლობაში 10-ჯერ და მეტად შემცირდა ხელოვნური აბორტების რიცხვი – უშვილობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

უშვილო წყვილებში საგრძნობლად და მნიშვნელოვნად გაიზარდა ნაყოფიერების მაჩვენებელი.

საქართველოში უშვილო ოჯახებში მკურნალობის შემდეგ დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ წელიწადში 1000 გადააჭარბა. 1984 წლიდან, ანუ იმ დროიდან, რაც არჩილ ხომასურიძე პროფესორ იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა, დაიწყო განსაკუთრებული ეტაპი არა მხოლოდ, ინსტიტუტის, არამედ ქართული მედიცინის ისტორიაში, რადგან ბატონი არჩილის სახელს, ზემოთ ჩამოთვლილ მიღწევებთან ერთად, უკავშირდება სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის სკრინინგის, მედიკამენტოზური აბორტის, უმტკივნეულო მშობიარობის და სხვა სიახლეების დანერგვა საქართველოში.

როგორც ვიცით, მსოფლიოში პირველი რეპროდუქტოლოგიური ინსტიტუტი საქართველოში ცნობილმა ექიმმა და მეცნიერმა, პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ დააარსა 1958 წელს და ამით მან 30 წლით გაუსწრო მაშინდელ ეპოქას.

1962 წელს იოსებ ჟორდანიას სახელი ეწოდა მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს.

დღეს რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტს ბატონი არჩილი ხელმძღვანელობს. ინსტიტუტმა ახალი სუნთქვა 2014 წლის 14 იანვარს დაიწყო იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ყოფილი, მსოფლიო დონის სპეციალისტების ინიციატივით, არჩილ ხომასურიძის ხელმძღვანელობით.

უნდა ითქვას, რომ დღეს ბატონი არჩილ ხომასურიძე გახლავთ დარგის უძლიერესი სპეციალისტი. იგი არის საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის წევრი, საბუნებისმეტყველო მედიკო-ბიოლოგიური და სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონ არჩილს შარშან 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ დღემდე ისე მხნედ გამოიყურება, რომ იტყვით, ეს კაცი ასაკსაც ამარცხებსო, თუმცა ეს იერი, გენეტიკასთან ერთად, მისი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამსახურებაც აღმოჩნდა – ის ყოფილი კალათბურთელი და ჩოგბურთელია. სპორტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

რაც შეეხება ინსტიტუტის დღევანდელ საქმიანობას, როგორც მიხვდით, ინსტიტუტის ძირითადი მიმართულება ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტირება და მკურნალობაა, მაგრამ ეს ხომ ფართო სპექტრს მოიცავს?! – აქ ტარდება მაღალი რისკის ორსულთა მონიტორინგი, გინეკოლოგიურ-ენდოკრინული დარღვევების კვლევა, დიაგნოსტირება და მკურნალობა რეპროდუქციული ასაკის ქალბატონებსა და გოგონებში. მკურნალობენ მენსტრუაციული ციკლის მოშლილობას, ჭარბთმიანობას, აკნეს, ინსულინრეზისტენტობას, მეტაბოლურ დარღვევებს, ჰორმონალურ დარღვევებთან დაკავშირებულ ჭარბ წონას, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლას, საშვილოსნოსმიერ დისფუნქციურ სისხლდენებს, საკვერცხეების პოლიკისტოზს, კლიმაქტერულ სინდრომს. კლინიკაში მიმდინარეობს ყველა სახის გინეკოლოგიური დაავადების დიაგნოსტირება და მკურნალობა – ორგანოების ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოს მიომების, ენდომეტრიოზის, პოლიპების, საკვერცხის ცისტების და ხდება მამაკაცთა შარდ-სასქესო ორგანოების მწვავე და ქრონიკული დაავადებების, სხვადასხვა სახის სექსუალური დარღვევების მკურნალობა და მართვა.

„რაც შეეხება ჩემს საპატიო თბილისელობას, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვიღებ ჩემს პირველ ოსკარს, მხოლოდ იმ ოსკარს, ბებრებს რომ აძლევენ, კინოხელოვნებაში შეტანილი მრავალწლიანი ღვაწლისთვის,“ – თქვა დაჯილდოების ცერემონიალზე ბატონმა არჩილმა.

ბატონი არჩილი ნახევრად გურულია და იუმორი არ ეშლება, თუმცა ცოტათი კადნიერად უნდა შევუსწორო: ბატონო არჩილ, თქვენ უკვე დიდი ხანია მიღებული გაქვთ ყველაზე საპატიო „ოსკარი“, რაც შეიძლება ადამიანმა მიიღოს სააქაო ცხოვრების განმავლობაში, ეს არის ადამიანების სიყვარული, თანამებრძოლების, თანამშრომლების, მეგობრების, პაციენტების სიყვარული, რომლებიც ერთად შეკრებილნი, სწორედ ქართველ ხალხს წარმოადგენენ...

მადლობა ღვაწლისთვის, ბატონო არჩილ...

მადლობა დედაქალაქის მერს წლევანდელ ცერემონიალზე მართლაც ღირსეული ადამიანების დაჯილდოებისთვის; მადლობა ბატონი არჩილის დაფასებისთვის.

**დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ მრავალ წარმატებას ვუსურვებთ ჩვენი ერის ერთ-ერთ უსაყვარლეს ექიმს ბატონ არჩილ ხომასურიძეს.**

**გფარავდეთ უფალი, ბატონო არჩილ!**

**ირანდა კალანდაძე**

# ისევ ვერეს ხეობისა და გმირთა მოედნის პრობლემები

(მეხუთე გვერდიდან)

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 11 სექტემბრის ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ მტკიცება, რომ ერთ-ერთი მთავარი პარამეტრი წყლის მასის დინებისა, (პროფ. გ. ფხალაძის მიხედვით), არის მისი სიჩქარე. თუ ჩვენ შევადარებთ მდ. ვერედან, ვარაზის ხევიდან, კოსტავას ქუჩიდან წყლების ნაკადის სიჩქარეს, გმირთა მოედნის ჯამური წყლის მასის საკანალიზაციო მილებით განტვირთვით სიჩქარესთან, ერთ დღეს, შესაძლოა, გმირთა მოედანზე წყალმა ამოხეთქოს და დატბოროს მთელი მოედანი.

* * *

**მეოცე საუკუნის ოცი-ოცდაათიან წლებში მდ. მტკვრის დონე იყო 397მ. (პროფ. გიორგი ჯაფარიძის მონოგრაფია „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“), რაც ნიშნავს, რომ დიდი სიჩქარით მილებში წყალი არ მიედინება.**

თუ ასეა, რაშიც ჩვენ დარწმუნებულები ვართ, მაშინ გავაანალიზოთ საკანალიზაციო მილებში ჩამდინარე ე.წ. „წყლის“ სტრუქტურა:



მილის ვერტიკალურ-დიამეტრულ კვეთაში გამოიხატება ზემო ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია შედარებით „სუფთა“ წყლით და რადგან ის მიედინება ზემო სექტორში, მის სიჩქარეს არაფერი უშლის ხელს. შუა ნაწილის წყალი წარმოდგენილია სუსპენზიით (ანუ მასში უკვე მცირე ზომის „ბინძური“ ნაწილაკებია); ქვედა ნაწილში ჭარბობს ერთობ მძიმე სიბინძურე. რაც სერიოზულად აფერხებს ასეთი „წყლის“ სწრაფად გადაადგილებას ე. ი. მილში საკანალიზაციო „წყლები“ გადაადგილდება.

„კულისისებურად“, ანუ ქვედა სიბინძურით გაჯერებული ნაწილი დინებაში ჩამორჩება ზედა ორივე „წყლის“ ნაწილებს. ლოგიკურია, რომ (და ჩვენ მართლები ვართ ასეთ მსჯელობაში), გავა დრო და მილი შესაძლოა გაიჭედოს სიბინძურით და შეაფერხოს ან შექმნას „საცობი“. მაგრამ გმირთა მოედანზე „წყლის“ შეჩერება შეუძლებელია.

მკითხველი, ბუნებრივია, დასვამს კითხვას, რაში ვხედავთ გამოსავალს?!

ჩვენი აზრით, ნაწილობრივ გამოსავალია მდ. ვერეს წყლების „გადასროლა“ კონსტრუქციულად და არქიტექტურულად ლამაზი აკვედუკით მდ. დიღმულას კანიონში. ეს აზრი ჩვენ დაგვებადა, როდესაც რამდენჯერმე გადავხედეთ ვაშლიჯვრის სასაფლაოს ზედა ადგილიდან ღრმად ჩაჭრილ დიღმულას კალაპოტს.

თუ ჩემს შემოთავაზებას მიიღებენ მერიის მესვეურები და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები, ასეთი აკვედუკის აშენების დეტალებზე სიამოვნებით გავესაუბრებით სპეციალისტებს მის კონსტრუქციულ საკითხებთან დაკავშირებით.

გარდა წყლის მილისა, ალბათ საჭირო გახდება ვიწრო სავალი გზა, ზომიერი გადაკეტვის ფარები („ჟალუზები“) და სხვა. გადასროლის ადგილად შეიძლება შერჩეულ იქნეს ბეთანიის ან სამადლოს მიდამოები.

ვთლი, რომ გარდა მთავარი მიზნისა, რისთვისაც გთავაზობთ ჩემს პროექტს, აკვედუკი შესაძლოა გახდეს მამადავითის მთის, ფუნიკულიორის მსგავსად, თბილისის კიდევ ერთი სიმბოლო.



**გიორგი მაღალაშვილი**

**საქართველოს საინჟინრო აკადემიის, ევროპისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს დამსახურებული გეოლოგი, პროფესორი, ღირსების ორდენოსანი, „მეცნიერებისა და ხელოვნების რაინდის“ საპატიო წოდების მფლობელი.**



# თითო მახინჯი ყველა ოჯახშია... მთავარია, არ გამრავლდნენ!

ჯაბა იოსელიანის მოთხრობილი ისტორია, რომელსაც ჩემი შესავალ-კომენტარი წარვუმძღვარე და მკითხველსაც ვუზიარებ, სამწუხარო, რეალობაა... და არა მარტო მაშინდელი.

რეპრესიები ციდან ჩამოფრენილი მოვლენა არ გახლდათ. ის, გარკვეულ წილად, ერთგვარი გამოძახილიც იყო იმ ეპოქისთვის არც თუ უცხო შიშის, შურის და გოროტების გაგატონებული ატმოსფეროსი...

37-38 წლებში, 4 მილიონი (ოთხი მილიონი!!!) დასმენის წერილი (უსახელო თუ ხელმოწერილი) შევიდა „ენ-კა-ვედე“-ში მთელი ქვეყნის მასშტაბით...

ეს უტყუარი ინფორმაციაა! ის პირადად ჩემთვის აქვს ერთი-ერთზე ნათქვამი თანამდებობრივად სსრკ-ში ყველაზე ინფორმირებულ კაცს, 1981 წლის 1 მარტს.

**ასევე, სამწუხაროა, რომ მსგავსი „სულისკვეთება“ არ გამქრალა და დღესაც „გოგინობს“ საზოგადოებრივ სივრცეში. ინტერნეტმა და „სიტყვის თავისუფლების“ უკიდეგანო „გაქანებამ“ აქამდე არნახული მასშტაბი შესძინა ამ გოროტებითა და შურით აღსავსე მოვლენას. ევროკავშირის კანდიდატობასთან დაკავშირებული თინიკოების, ხათუნების, ჭიჭელიკინა და სხვა მოკრეტინ-მოჩარკვიანო ტიპაჟის ევროჩინოსნებთან და დეპუტატებთან ენატანიობა და სამშობლოს(!) დასმენა-ჩაშვების პროცესი ამის მეტყველი დადასტურებაა.**

საოცარი გრძნობა გიპყრობს ადამიანს (ქვეყანასაც!), როცა პირადად შენზე (ქვეყანაზე!) დაწერილ „დასმენის“ წერილს რომ კითხულობ, უცქერ თუ უსმენ „მამხილებელ“ გადაცემებში, ან ფეისბუკის უსაზღვრო და უპასუხისმგებლო სივრცეში.

მახსენდება ერთი ძველი, მრავლისმეტყველი ისტორია. არ მინდა მისი განზოგადება, მაგრამ ეს მოვლენის არსს არ ცვლის, თანაც, დღესაც ერთობ აქტუალურად მეჩვენება.

* * *

**როცა საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური და ვიდეო-„ქუდი“ შევცვალე და 1980 წლის დამდეგ ახალ წელს, საქართველოს წინაშე წარვდექით ახალი „ქუდით“ – ანდრია ყარაშვილის „სამშობლოს“ უკვდავი მელოდიითა და მერაბ ბერძენიშვილის ფანტასტიკური „ქართვლის დედა – ალგეთის ლეკვებით“ (ქანდაკება რომ დგას მარნეულთან, აზერბაიჯანის საზღვრის სიახლოვეს).**

ძველებს არ სჭირდებათ იმის შეხსენება, თუ ცენზურის და იდეოლოგიური წნეხის ვითარებაში, რა დრო იყო მაშინ...

დიდი ინტერესით ველოდებით საზოგადოების რეაქციას... რამდენიმე დღე და... შედეგმაც არ დააყოვნა...

სუპერ! სუპერ! სუპერ!

გვიხარია, რომ აშკარად დადებითად მიიღო ხალხმა ეს, იმ დროისთვის მართლაც გაბედული გადაწყვეტილება. მაგრამ...

სულით მახინჯს რას გამოლევ ამ ქვეყანაზე?!

ერთი თვის მანძილზე, მარტო უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში შევიდა 78(!!!) საჩივარი: რა არ დამაბრალეს, მენშევიკების ჰიმნის „გაცოცხლებიდან“ დაწყებული, აზერბაიჯანთან დაპირისპირების მცდელობამდე დამთავრებული...

მთავარმა ჩეკისტმა ალექსი ინაურმა ოფიციალური წერილით მიმართა ცეკას და თხოვა ამ ანტისაბჭოთა საქმის აღმოფხვრა-დარეგულირება.

რეაქციამ არ დააყოვნა. საქმეში ჩართეს „მეფისნაცვალი“ გენადი კოლბინი. ის ჭკვიანი კაცი იყო და როგორც კი ჩემი ახსნა და არგუმენტები მოისმინა, ანგარიში გაუწია ე.წ. პრობლემის ეროვნულ „ელფერს“, ყურად იღო ჩემი თხოვნა და პრობლემა გადაულოცა ცეკას პირველ მდივანს.

...საქმე იქამდე მივიდა, რომ საბოლოო ვერდიქტის გამოსატანად შევარდნაძეს ვთხოვე პირადად ენახა ეს „ქუდი“. ამისთვის საგანგებოდ ჩავურთეთ მეორე პროგრამის გახსნისას (შუადღისას) ეს ტელე“ქუდი“ და...

– ეს რა კარგი რამე გაგიკეთებიათო, ისროლა ეს რეპლიკა და ამით დაუსვა კიდეც ამ ე.წ. პოლიტიკურ „დაძაბულობას“ წერტილი.

ურაკომპატრიოტების ბრბო დარჩა ხახამშრალი...



**რატომ გავიხსენე ახლა უკვე ღიმილის მომგვრელი ეს ისტორია?**

**იმიტომ რომ, არასოდეს მავიწყდება: 78-ვე პასკვილი დაწერილი იყო ქართულად და არც ერთი „ფხიზელი მომჩივანი“ არ გახლდათ არაქართული გვარის მატარებელი.**

**ტაში, კუჭკუჭი!!!!**

**ნუგზარ ფოფხაძე**

* * *

## ჯაბა იოსელიანი

**ხალხის ნაც-ქოცურ დტვრინვაზე გამახსენდა. გაქანებული 37 წელია, ბერია აშარიშურებს სიებს. ერთი ცნობილი ანსამბლი ყოფილა სიმღერისა და ცეკვის, ორ ბანაკად ყოფილან დაყოფილნი, ერთმანეთის ჩამოშორება სდომებიათ, ჰოდა დაუწყიათ ბერიას კაბინეტში სირბილი და დასმენები, პავლოვიჩს ორივე მხარე ერთდროულად დაუბარებია თავისთან, – „ერთი რა ვერ გაგიყვიათ გამაგებინეთო“.**



ამათ უთქვამთ – ერთი ხალხური ქართული სიმღერაა და დაბოლოებაში ვერ შევთანხმდით, ერთს გვინდა – ჰეი ჰეით გასრულდეს სიმღერა, მეორეს კი – ჰოო ჰოოთიო.

შეუხედავს ბერიას ქობულოვისთვის – ესენი პირდაპირ გაუშვი, ხომ იცი სადაცო. – რაზეა ლაპარაკი პავლოვიჩო, დატრიალებულა ბოგდანი. რამდენიმე დღეში მთელ ანსამბლს გადასახლებაში გამოეღვიძათ.

ტინგიცა ხრუშჩოვმა ბერიას დახვრეტის შემდეგ ხალხის თვალში თავის გამოსაკეთებლად ამნისტიები რომ გამოაცხადა, მაგ დროს იმ ანსაბლის წევრებსაც შეხებიან, – სვეშჩამიო, ჰოდა მისეირნობდა თურმე თბილისის ქუჩებში იმ ანსამბლის ერთი ჯგუფის წევრი და შემოხვდომია მეორე ჯგუფიდან დაპირისპირებული:



– ჰეი, ბიჭო, გამოგიშვეს შენცო – შეუძახია პირველს,

– ჰოო, ძმაო მეც შემეხო ამნისტიაო – უთქვამს მეორეს და გახარებულები გადახვევიან ერთმანეთს.რა გვქონდა გასაყოფი ნეტავიო. მაგას ვფიქრობდი მთელი ეს დრო გადასახლებაშიო – კვერი დაუკრია პირველს.



## წინა კვირის მთავარი კრიმინალური მხილება



## ნინო ჯღარკავა: 15 წლის შემდეგ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ბელა როგავა მეგის ქარდავას სასამართლო დარბაზში შეხვდა...

**„დაზარალებული ემიგრაციიდან სპეციალურად ქარდავას წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად ჩამოვიდა. წამების საქმის ოქროს მოწმის დარბაზში გამოჩენა ქარდავასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა“,** – წერს ჟურნალისტი **ნინო ჯღარკავა** სასამართლო პროცესზე მეგის ქარდავას წინააღმდეგ „ოქროს მოწმის“ ჩვენების შესახებ.

**„ეს არააადამიანი ნაძირალები, ამათ უნდათ ხელისუფლებაში მობრუნება? ერთმანეთს უნდა დაადუღო ესენი! 15 წლის შემდეგ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ბელა როგავა, მეგის ქარდავას სასამართლო დარბაზში შეხვდა. დაზარალებულის მიერ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემის პროცესი „ქრონიკამ“ ექსკლუზიურად გადაიღო.**

**დაზარალებული ემიგრაციიდან სპეციალურად ქარდავას წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად ჩამოვიდა. წამების საქმის ოქროს მოწმის დარბაზში გამოჩენა ქარდავასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბრალდებულისთვის უცნობი იყო, რომ ბელა როგავა გამოცხადდებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ მისმა ადვოკატმა და მეგის ქარდავამ მოსამართლეთა პალატის აცილების შუამდგომლობა დააყენეს. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ხელახლა უნდა განხილულიყო და დაზარალებული, ოქროს მოწმე, ბელა როგავა სასამართლო პროცესზე ვერ გამოიკითხებოდა. ქუთაისის მოსამართლეთა პალატამ მეგის ქარდავას შუამდგომლობა დაუსაბუთებლად ცნო. აღნიშნულის შემდეგ როგავა პროცესზე შევიდა და სკანდალური ჩვენება მისცა. ბელა როგავამ პროცესზე 2009 წელს მის მიმართ განვითარებული მოვლენები გაიხსენა, როცა ის ორსულად იყო და მეგის ქარდავა მისგან ჩაუდენელი დანაშაულის აღიარებას ითხოვდა.**

**„მკითხა, თუ რატომ არ ვაწერდი ხელს ბრალდებაზე. ვუთხარი, რომ ეს მე არ მეკუთვნოდა. როგორც მათ ჰქონდათ ინფორმაცია, დაკავებული ვიყავი მანქანის გატაცებასა და მძღოლის მძევლად აყვანაზე, ახლა არ დავაკონკრეტებ, ნაწილობრივ ვგრძნობ თავს დამნაშავედ ამ საკითხთან მიმართებაში და სასჯელიც მოხდილი მაქვს.**

**მას ვუთხარი, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რაც ვიცოდი, მასზე შემეძლო მესაუბრა, რაზეც მან პასუხად გამარტყა, სილა გამაწნა სახეში. გავიდა ოთახიდან და დაახლოებით, 10 წუთში შემოვიდა არაადეკვატური სახით. თვალები ჩაწითლებული ჰქონდა, წინ დამიჯდა და დამიწყო გინება, შეურაცხყოფები და ისევ დამარტყა. ვუთხარი, რომ არ დაერტყა, რადგან ფეხმძიმედ ვიყავი. მას ეს არ აინტერესებდა და მისი პასუხი იყო: „არ მაინტერესებს, ფეხმძიმედ ხარ თუ არა, მოგკლავ. ახლა უნდა თქვა ყველაფერი სიმართლე და ამაზეც ხელს მოაწერ“, რაზეც, რა თქმა უნდა, მე წინააღმდეგობა გავუწიე. რაც არ ვიცოდი, იმის იქით ვერაფერს ვეტყოდი. ის მეუბნებოდა, რომ თანამზრახველები დამესახელებინა“**, – განაცხადა **როგავამ.**

მისი თქმით, **მას იარაღის მუქარით გააღებინეს პირი, რა დროსაც მას კბილი ჩაუმტვრიეს და გაურკვეველი სითხე დაალევინეს. როგორც მოწმემ პროცესზე განაცხადა, ეს ნარკოტიკი, ოპიუმი იყო. გონზე მოსვლის შემდეგ კიდევ ურტყამდნენ და იგი აღნიშნული დაკითხვის დროს პერიოდულად გონს კარგავდა.**

**„შემოიტანეს ერთჯერადი ჭიქით უფერული სითხე. ძალიან ცოტა. მივხვდი, რომ ეს არ იყო წყალი. გავუწიე წინააღმდეგობა, რა დროსაც მომქაჩა თმაზე ექონიამ. მან იარაღი აიღო, რადგანაც პირი არ გავაღე და ძალით გამაღებინა პირი, რა დროსაც ჩაიმტვრა კბილი და ეს სითხე კბილთან ერთად გადავყლაპე“**, – განაცხადა „ოქროს მოწმემ“, – წერს **ნინო ჯღარკავა..**

# რას ნიშნავს რუსული ბაზა ოკუპირებულ ოჩამჩირეში?

# გაზრდილი საფრთხე ზუგდიდიდან 35 კილომეტრში



**ოკუპირებულ ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზის განთავსებით, რუსეთი მძლავრი საცეცხლე შესაძლებლობებით უახლოვდება თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას. დაზვერვის გარდა, კრემლი სხვა მნიშვნელოვან ბერკეტებსაც იგდებს ხელში. რუსეთის სამხედრო ფლოტის გემებს, უკრაინის წარმატებული შეტევების გამო, ანექსირებული ყირიმიდან იძულებით უწევთ გასვლა და ალტერნატიულ შესაძლებლობებს ახლა უკვე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეძებენ. მოსკოვსა და დე ფაქტო რესპუბლიკას შორის 2009 წელს მიღწეული შეთანხმება, პუტინთან ბჟანიას შეხვედრის შემდეგ გაცოცხლდა. ოკუპირებულ აფხაზეთშიც აცნობიერებენ, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის ოჩამჩირე ლეგიტიმური სამიზნე ხდება.**

**„ეს დიდი ნაღმია შავი ზღვის უსაფრთხოების, ხვალინდელი ანაკლიის პორტისა და საქართველოს ევროპული გზისათვის. სწორედ ამ ნაბიჯით რუსეთი შავი ზღვის რეგიონში გავლენების გაძლიერებასა და რეგიონში დომინანტობას ცდილობს“, — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.**

## განგაშის დროა?

**პუტინთან შეთანხმებულ და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას მიერ 5 ოქტომბერს გახმაურებულ ახალ ამბავს — საექსპერტო წრეებში საგანგაშოდ თვლიან.**

ოჩამჩირეში რუსეთის ფლოტის მუდმივი ბაზის გახსნით „რუსულ კონტინგენტს ოკუპირებულ აფხაზეთში საცეცხლე შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაეზრდება“, ხოლო ოჩამჩირიდან საოკუპაციო ზოლი ერთი ხელის გაწვდენაზეა.

**„სამხედრო ხომალდი არ არის მხოლოდ ერთი გემი და ერთი რაკეტა — ეს არის პლატფორმა, რომელზეც არის კონცენტრირებული როგორც საცეცხლე საშუალებები, ასევე სადაზვერვო საშუალებები - რადიოელექტრონული ბრძოლის და დაზვერვის საშუალებები. ელექტრონული და ტექნიკური დაზვერვის შესაძლებლობები და ასე შემდეგ. როცა ეს ყველაფერი რუსეთს ექნება ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრიდან 35 კილომეტრში, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს წინააღმდეგ“,** — ამბობს სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გადამდგარი გენერალ-მაიორი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, **ვახტანგ კაპანაძე** და ხაზს უსვამს, რომ **„ხმაური უნდა გვქონდეს უკვე ატეხილი ყველა დონეზე — სამხედროებმა უნდა გადახედონ თავიანთ ოპერატიულ გეგმებს, დიპლომატებმა უნდა დაიწყონ სირბილი მთელ მსოფლიოში, მოკავშირეებთან“...**

ამერიკული ანალიტიკური ცენტრი ომის შემსწავლელი ინსტიტუტი (ISW), სატელიტურ ფოტოებზე დაყრდნობით წერს, რომ ოკუპირებული ოჩამჩირის პორტს შეზღუდული ინფრასტრუქტურა აქვს, ხოლო ქვიშიანი სანაპირო ზოლი „დიდწილად არახელსაყრელია სამხედრო-საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის“, თუმცა „რუსეთისთვის შესაძლებელია ინფრასტრუქტურის გაფართოება და ოჩამჩირის პორტის დამატებით ბაზად გამოყენება სამომავლოდ“.

სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ოჩამჩირეში ამჟამად ФСБ-ს სასაზღვრო სამსახურის ოთხი კატერი დგას. ექსპერტების შეფასებით, პორტს ამჟამადაც აქვს ერთი მსხვილი სამხედრო ხომალდის მიღების საშუალება, რაც შეიძლება გარდამტეხ ფაქტორად იქცეს.

**„დამერწმუნეთ, რომ ერთ მსხვილ, 10-ათასტონიან ხომალდს, ჩავთალოთ — სარაკეტო კრეისერს — იმაზე გაცილებით დიდი საცეცხლე და სადაზვერვო შესაძლებლობა აქვს, ვიდრე აფხაზეთში არსებულ [№7] ბაზას მთლიანად, სადაც ერთი ბრიგადაა განთავსებული. ის ბაზა გუდაუთაშია, ეს იქნება — ოჩამჩირეში, საიდანაც 39 კილომეტრია, მაგალითად — ზუგდიდამდე“, — ვახტანგ კაპანაძე** ასევე აღნიშნავს, რომ **ოჩამჩირეში ერთზე მეტი გემის შეყვანას რუსეთი ინფრასტრუქტურის გაუფართოებლად ვერ მოახერხებს.**

## რა იმედები აქვთ რუსეთში?

**„რუსეთი ძლიერდება შავ ზღვაზე“, „რუსეთს შავ ზღვაზე მეტი ზეგავლენა ექნება“ — ოჩამჩირეში რუსეთის ფლოტის გაზირების პერსპექტივა რუსეთის მედიამ ფართოდ გააშუქა.**

რუსი ექსპერტები საკითხს გეოპოლიტიკური მიზნების ჭრილშიც განიხილავენ.

**„არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო ნატოს კეფასთან სუნთქავს და მზად არის მიიღოს მათი გემები თავის პორტებში, როგორც კი ასეთი საშუალება გაჩნდება, ბოსფორის გახსნით. იქვეა თურქეთიც, რომელიც ასევე ალიანსის წევრია“,** — ეუბნება „არგუმენტი ი ფაქტის“ რუსი სამხედრო ექსპერტი, კაპიტანი ვასილი დანდიკინი.

**„გავაძლიერებთ დაცვის ხაზს ამ ფლანგზე. შემაკავებელ ფაქტორს განამტკიცებს ფლოტი და რეგიონში არსებული რუსული ძალები“, — დანდიკინი** ამბობს, რომ **ოჩამჩირეში საზღვაო ბაზის ამოქმედება აუცილებლად მოითხოვს დამატებითი საზენიტო სარაკეტო სისტემებისა და საზღვრის დაცვის კომპლექსების განთავსებას. სახელდება — С-400, „Бал“ და „Бастион“.**

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ უფროსმა მკვლევარმა შოთა ღვინერიამ „რადიო თავისუფლებას“ უთხრა, რომ თუკი ოჩამჩირეში რუსეთის ფლოტი განთავსდება, ამერიკის სამხედრო ხომალდებს ბათუმში შემოსვლა გაუჭირდებათ, როგორც ეს მაგალითად 2008 წელს მოხდა.

**„ოჩამჩირეში რუსეთის სამხედრო ფლოტის განთავსება ნიშნავს, რომ რუსეთი შავ ზღვაზე ჩამოაყალიბებს წვდომის ხელშეშლისა და მანევრის შეზღუდვის ახალ ძლიერ ზონას, როდესაც შენი მოწინააღმდეგე შენთან პირდაპირი შეხების გარეშე ვერ შემოვა. ამერიკულმა გემმა, რომელიც მოდის ჰუმანიტარული მიზნით, უნდა გამოიაროს რუსეთის დაფარვის სფერო“, — ღვინერია** ამბობს, რომ **საფრთხე შეექმნებათ ასევე ფოთის პორტში შემოსულ სავაჭრო გემებსაც და „რუსეთს შეეძლება დაბლოკოს და ხელი შეუშალოს სავაჭრო მიმოსვლას“.**

ოჩამჩირეში საზღვაო ბაზის განთავსების შესახებ რუსეთმა ოკუპირებულ აფხაზეთთან ჯერ კიდევ 2009 წელს მოილაპარაკა. შემდეგ იყო ყირიმის ანექსია, 2014 წელს, და რუსეთის ძირითადმა ინტერესებმა სევასტოპოლისკენ გადაინაცვლა.

ოჩამჩირესთან დაკავშირებულ გეგმებს საერთაშორისო ექსპერტები თვლიან რუსეთის გამოსავლად — გადაარჩინოს საკუთარი ხომალდები, რადგან 2023 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რუსეთის ფლოტი, ანექსირებულ სევასტოპოლში, უკრაინამ მნიშვნელოვნად დააზარალა.

რუსეთი რომ უსაფრთხო ნავსაყუდელს ეძებს, ამაზე რუსი ექსპერტებიც მიანიშნებენ.

## უკრაინის სამიზნე

**ვახტანგ კაპანაძე გვეუბნება, რომ ოჩამჩირის ბაზა „ლეგიტიმური სამიზნე გახდება უკრაინისთვის“, რადგან „ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე თუნდაც მეგობარი ქვეყნის არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან აწარმოებს საცეცხლე ზემოქმედებას, სამხედროების მოვალეობაა, რომ გაანადგურონ ყველაფერი, რაც მათ აყენებს ზარალს“.**

იმისათვის, რომ უკრაინა ოჩამჩირეში რუსეთის ბაზას საკუთარი არაოკუპირებული ტერიტორიიდან მისწვდეს, კაპანაძის განმარტებით, 1000 კმ-ზე მოქმედი იარაღი ესაჭიროება, თუმცა მისთვის **„ისიც ფაქტია, რომ უკრაინის დივერსიული ჯგუფები სრულას რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდანაც ახერხებენ“.**

## ხედავენ თუ არა ასეთ საფრთხეს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში?

**აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, საექსპერტო ფონდ „აამტას“ თავმჯდომარე, გივი კვარჩია „ეხო კავკაზას“ ეუბნება, რომ „ნებისმიერი სამხედრო ბაზა თუ ბაზირების ადგილი წარმოადგენს როგორც დაცვას, ასევე საფრთხეს“, ხოლო ამ შემთხვევაში „ეს მეტი დაცვაა, ვიდრე საფრთხე“.**

კვარჩია ასევე მიუთითებს, რომ ხალხი გარკვეული შიშით ელოდებოდა ბჟანიასა და პუტინის შეხვედრის შედეგებს, რადგან ბჟანია, ხშირად, ხალხის გაუფრთხილებლად უთანხმდება მოსკოვს, როგორც ეს იყო, მაგალითად, ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკისა და აპარტამენტების შემთხვევაში და, მისი თქმით, ასეთი საკითხები აფხაზეთში რუსოფობიის რისკებს აჩენს.

გივი კვარჩია რუსეთის სამოკავშირეო სახელმწიფოში აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის გაერთიანებას შესაძლებლად თვლის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში — თუკი ბელარუსი აღიარებს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობას.

## რეაქციები თბილისში

**„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ 6 ოქტომბერს ჟურნალისტებს უთხრა, რომ საქართველოს ხელისუფლება საკმარისად თვლის განცხადებას, რომელიც 5 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა.**

კობახიძის თქმით, „სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოში „მეორე ფრონტი“ არ დაუშვას და ამისთვის ყველა ნაბიჯი იდგმება“.

**„გაქვთ გამოცდილება და ნდობაც უნდა გქონდეთ ხელისუფლების, რადგან 11 წლის განმავლობაში უმწვავესი, უმძიმესი გამოწვევების მიუხედავად მოვახერხეთ საქართველოში მშვიდობის შენარჩუნება. გვაცადეთ და შეინარჩუნეთ ნდობა ხელისუფლების მიმართ, რომ მე-12 წელსაც მოვახერხებთ მშვიდობის შენარჩუნებას“,** — თქვა **კობახიძემ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 5 ოქტომბერს აღნიშნა, რომ შეშფოთებულია ოჩამჩირეში რუსეთის საზღვაო ბაზის გახსნის გეგმით. ამ გეგმას საგარეო უწყება ოკუპაციის ლეგიტიმაციისკენ მიმართულ „მორიგ პროვოკაციულ მცდელობად“ თვლის და მოუწოდებს რუსეთს, „პატივი სცეს საერთაშორისო ვალდებულებებს, შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და შეწყვიტოს საქართველოს განუყოფელი რეგიონების უკანონო ოკუპაცია“.

ექსპერტები იმასაც ვარაუდობენ, რომ რუსეთის მიერ ოჩამჩირეში გახსნილი საზღვაო ბაზა ინვესტორებსაც დააფრთხობს და ანაკლიის პორტის მიმართ ინტერესი ამ ვითარებაში შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ ჩინეთს, რომელიც რუსეთის მოკავშირეა.

ამ ეტაპზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, ტენდერში, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტის განხორციელების შემდეგი ეტაპისთვის შეირჩა ორი კომპანია — შვეიცარიულ-ლუქსემბურგული და ჩინურ-სინგაპურული.

ვახტანგ კაპანაძე ანაკლიის პორტს გამართლებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩათვლის, თუკი ამ პორტს საქართველოს მოკავშირე დასავლური ქვეყნების ხომალდების მიღების შესაძლებლობა ექნება. **„ოჩამჩირის ბაზის საპირწონე შემაკავებელი ეფექტი მხოლოდ ამას ექნება“,** — გვეუბნება გადამდგარი გენერალ-მაიორი...

**ლელა კუნჭულია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

### ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 26 სექტემბრის 1-1/374 ბრძანების შესაბამისად 2023 წლის 26 სექტემბრის 1-1/374 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (EBRD) დაფინანსებით, გურიის რეგიონში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 20 მარტის №1-1/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალსიწინებულ 220/110 კვ. “ოზურგეთი-ზოტიჰესის” ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: „220/110 კვ. ეგხ “ოზურგეთი-ზოტიჰესის მშენებლობის პროექტი“) პროექტის დანიშნულებაა გურიისა და აჭარის რეგიონებში გადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერება, მცირე ჰიდროელექტროსადგურებისა და ქსელის საიმედოობის გაზრდა. კერძოდ, ამაღლდება ქვესადგური ბათუმის და აჭარის რეგიონის კვების საიმედოობა და კიდევ უფრო შემცირდება ბათუმის ქვესადგურის ძაბვის პრობლემა. ბათუმის მომარაგება მოხდება ოზურგეთი-ბათუმით და ხორგა-ბათუმით. აღნიშნული გაზრდის სიმძლავრის გატანის შესაძლებლობას ოზურგეთის ქვესადგურიდან. ოზურგეთის ქვესადგურს ასევე დაუკავშირდება ახალი 110 კვ ეგხ ოზურგეთი-ზოტი, რომელიც უზრუნველყოფს გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების გენერაციის საიმედო გამოტანას ქსელში. ამრიგად, ახალი 220/110 კვ ეგხ “ოზურგეთი-ზოტიჰესი”-ის არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს რეგიონის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

220/110 კვ. ეგხ „ოზურგეთი-ზოტიჰესი“-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტ სოფ. ლიხაურში მდებარე, გასან ხურის (C/N: LR2673410) საკუთრებაში არსებული 3 (სამი) მიწის ნაკვეთის ნაწილის: 26.16.22.269 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 35 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 26.16.22.275 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 316 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 26.16.22.268 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების (სულ: 355 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220/110 კვ. ეგხ „ოზურგეთი-ზოტიჰესი“-ის მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2023 წლის 26 სექტემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/374** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურში მდებარე, გასან ხურის (C/N: LR2673410) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

- **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 26.16.22.269; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1000 კვ.მ.-ის ნაწილი - 35 კვ.მ.**
- **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 26.16.22.275; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1000 კვ.მ.-ის ნაწილი - 316 კვ.მ.**
- **უძრავი ქონების საკადასტრო ქოდი: 26.16.22.268; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1000 კვ.მ-ის ნაწილი - 4 კვ.მ.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

### ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 26 სექტემბრის 1-1/374 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და რეკონსტრუქციისა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) დაფინანსებით, გურიის რეგიონში ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის №1-1/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალსიწინებულ 220/110 კვ. ,,ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: „220/110 კვ ეგხ ,,ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ მშენებლობის პროექტი“).

პროექტის დანიშნულებაა გურიისა და აჭარის რეგიონებში გადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერება, მცირე ჰიდროელექტროსადგურებისა და ქსელის საიმედოობის გაზრდა, კერძოდ, ამაღლდება ქ/ს ბათუმის და აჭარის რეგიონის კვების საიმედოობა და კიდევ უფრო შემცირდება ბათუმის ქ/ს-ის ძაბვის პრობლემა. ბათუმის მომარაგება მოხდება ოზურგეთიბათუმით და ხორგა-ბათუმით. აღნიშნული გაზრდის სიმძლავრის გატანის შესაძლებლობას ოზურგეთის ქვესადგურიდან. ოზურგეთის ქვესადგურს ასევე დაუკავშირდება ახალი 110 კვ ეგხ ოზურგეთი-ზოტი, რომელიც უზრუნველყოფს გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების გენერაციის საიმედო გამოტანას ქსელში. ამრიგად, ახალი 220/110 კვ ეგხ „ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს რეგიონის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

220/110 კვ ეგხ ,,ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთში მცხოვრები მიხეილ თოფურიას (პ/ნ 33001064327) საკუთრებაში არსებული 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 26.14.14.088) ნაწილის, კერძოდ 185 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (185 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220/110 კვ. ,,ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2023 წლის 26 სექტემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/374** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთში მცხოვრები მიხეილ თოფურიას (პ/ნ 33001064327) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

- **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 26.14.14.088; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1500 კვ.მ.-ის ნაწილი - 185 კვ.მ.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სილევან ჩანქსელიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სილევან ჩანქსელიანი (პ/ნ 53001032435), წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7 (საკადასტრო კოდი: 29.15.32.352 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28125.29 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 6 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93059723;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 930597

6. **მოვალე:** სილევან ჩანქსელიანი (პ/ნ 53001032435), წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7;

ეკა ჩანქსელიანი (პ/ნ 49001002308), წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93059723; ლოტის ნომერი: 930597).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 20 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

**ტატამზე**

# გურეშიძე – ჩემპიონია!



**შალვა გურეშიძე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ოქროს მედალს დაეუფლა.**

+100 კგ წონით კატეგორიაში გურეშიძემ გერმანიის სახელით მოასპარეზე დანიელ უძილაური, თურქი მუნირ ერთუღი, კვიპროსელი იანის ანტონიუ დაამარცხა, რის შედეგადაც ფინალში გავიდა, სადაც კიდევ ერთ თურქს, იბრაჰიმ თათაროღლუს შეხვდა, რომელიც დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.

უმედლოდ დარჩა გიორგი ბადუაშვილი (+100 კგ), რომელმაც პირველივე წრეში იაპონელ დოტა არაისთან წააგო, ხოლო ქალთა შორის ნინო პაპიძემ (+78 კგ) მონღოლ ენხზულ ენხბაიარს აჯობა, მაგრამ მერე ნიდერლანდელ პაულინ სვეერსთან მარცხი განიცადა.

საქართველომ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი მედალი მოიპოვა – გურეშიძემ ოქრო და ალექსანდრე ლოლაძემ ვერცხლი.

**ელიტ-რაუნდი**



# ჩივილის შემდეგ

**საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის მესამე შეხვედრა ფინეთთან საკუთარ მოედანზე გამართა და ჩრდილოელები დამაჯერებლად დაამარცხა – 5:2.**

მედიაში ამ დაპირისპირებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესარჩევ ჯგუფში ჩვენმა მეტოქეებმა, პორტუგალიის და ფინეთის ფედერაციებმა უეფა-ში საქართველოსა და სომხეთის ფუტსალის ნაკრებებს ნატურალიზებული ფეხბურთელების თამაშის გამო უჩივლეს.

თუმცა, თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ მატჩში ავთანდილ ასათიანის გუნდში ლეგიონერებმა კვლავაც ითამაშეს და მთავარი როლი შეასრულეს. საქართველოს ნაკრებმა ანგარიში მე-9 წუთზე სიმი საიოტის ზუსტი დარტყმით გახსნა. ტაიმის ბოლოს კი ვახტანგ კეკელიას დარტყმული ბურთი საკუთარ კარში იირო ვანჰამ ჩაჭრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში შაგინიას შესანიშნავი შეტევის შემდეგ ჩვენი უპირატესობა სამამდე ბინიომ გაზარდა. ფინელები შეტევაზე გადმოვიდნენ და იუსტუს კუნასმა სხვაობა შეამცირა. შემდეგ მეტოქემ მეკარე მოთამაშით შეცვალა, ამით ჩვენმა ფეხბურთელებმა ისარგებლეს და ორჯერ ცარიელ კარში გაიტანეს. ჯერ ეს ბინიომ მოახერხა, მერე კი საქართველოს ნაკრების მეკარემ, ზვიად კუპატაძემ, რომელმაც გოლი საკუთარი კარიდან გაიტანა. საბოლოო ანგარიში ფინელმა ტერო ინტალამ დააფიქსირა.

ამ მატჩით ჯგუფში პირველი წრე დასრულდა. საქართველოს 6 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა (პირველზე პორტუგალიაა 9 ქულით). მომდევნო შეხვედრას ავთანდილ ასათიანის გუნდი ტურკუში 11 ოქტომბერს, კვლავ ფინეთის წინააღმდეგ ჩაატარებს.

# ტიტული - მესამედ!

**მემორიალი**




**დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი XXII ტურნირის გამარჯვებული გახდა საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“. იმერულ გუნდს დადიანის მემორიალი აქამდე 2011 და 2020 წლებში ჰქონდა მოგებული და გუშინდელი გამარჯვებით ტიტულს მესამედ შესწვდა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა ფინალურ მატჩში ზესტაფონის „მარგვეთი“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს.**

თამაშში ლიდერი ერთხელ შეიცვალა. პირველი ბურთი რომ ჩააგდეს და დაწინაურდნენ, ზესტაფონელები წინ იყვნენ, სანამ თამაშის დასრულებამდე 2:10 წუთი არ დარჩა. სწორედ ამ დროს აკაკი დვალიშვილმა ორქულიანი ჩააგდო და ქუთაისელები 87:86 დააწინაურა. ნომინალურმა ცენტრმა დვალიშვილმა მომდევნო შეტევაში სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ბოლო წუთზე, როცა ქუთაისელები 2 ქულით იგებდნენ, გამარჯვების ორქულიანი ჩააგდო.

ზემოთაღნიშნულ სპურტამდე დვალიშვილი მოედანზე ახალი დაბრუნებული იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქუთაისელთა მწვრთნელს შეცვლამ გაუმართლა. დვალიშვილმა შორი და საშუალო დისტანციებიდან ჩააგდო, რასაც მეტოქე ნაკლებად მოელოდა და ამიტომაც იყო, მეურვე მას პერიმეტრზე ბოლომდე რომ არ აჰყვა.

დვალიშვილი დამსახურებულად გახდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშე, რომელსაც მატჩის დასრულების შემდეგ MVP-ის ტიტული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილემ ლაშა გამყრელიძემ გადასცა. დვალიშვილმა, უკვე ქუთაისის კაპიტნის რანგში, დუდუ დადიანის თასი ჩაიბარა, რომელიც მას დუდუ დადიანის ძმისშვილებმა – ნიტამ, სანდრომ და ანდრიამ გადასცეს.

მარგვეთი გამარჯვებასთან ახლოს იყო. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ გუნდს ძალა და გამოცდილება არ ეყო, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. მარგვეთი ყველაზე მეტს 10 ქულას იგებდა, რაც ძირითადად მისი სნაიპერების დამსახურება იყო. ზესტაფონელებმა ამჯერადაც მეტოქეზე მეტი სამიანი ჩააგდეს, რაც აკაკი ლომოურის (4 სამიანი), ლუკა ზაქრაძის (3) და მაიკლ მეიესის (2) დამსახურება იყო. ქუთაისელთა წარმატების გასაღებიც იმაშია, რომ ბოლო პერიოდში საიმედოდ გადაკეტეს პერიმეტრი და რაკი მეტოქის ყველაზე საშიში იარაღი გაანეიტრალეს, ფარქვეშა, პოზიციურ თამაშსა და საშუალო სროლებში დვალიშვილის წყალობით მეტოქეს აჯობეს.

მატჩი საბოლოოდ ქუთაისელთა სასარგებლოდ – 94:89დასრულდა. ყველაზე შედეგიანი გიორგი ოჩხიკიძე იყო – 20 ქულა, 11 პასი. 20 ქულა მიითვალა გიორგი სულაბერიძემ. ბრწყინვალე ორმაგი დუბლი (17 ქულა, 12 მოხსნა) გამოჭედა გიორგი კორსანტიამ. ტურნირის MVP აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე კი 15 ქულა, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა დაგროვდა. მარგვეთში 20 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ტაიშონ კროუფორდი. მაიკლ მეიესმა შეხვედრა 22 ქულით, 8 მოხსნითა და 4 პასით დაასრულა. აკაკი ლომოურის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა.

**ოვალური ბურთი**

# როგორც დავიწყეთ...

**ჩვენთვის ზედიზედ მეექვსე სარაგბო მსოფლიოს თასი ჯგუფური ეტაპის დასრულებასთან ერთად უსახელოდ დამთავრდა. ერთი ფრე და სამი დამარცხება – ასეთია ბორჯღალოსანთა ფრანგული ლაშქრობის სავალალო შედეგი.**

მართალია, ის შეხვედრები, რომელთა მოგებასაც ლევან მაისაშვილის გაწვრთნილი გუნდი მორიგ ფორუმზე აპირებდა, ერთად-ერთი კინკილა ქულით დავასრულეთ, მაგრამ ფავორიტ უელსთან მაინც კარის ხმაურიანად გაჯახუნების იმედი გვქონდა, მით უმეტეს, მას შარშან კარდიფში ისტორიული მარცხი ვაგემეთ. ვარაუდი, რომ მეტოქეს მოტივაცია დააკლდებოდა, რადგან ვადამდე გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური და რამდენიმე ლიდერს დაასვენებდა, არ გამართლდა – რაგბი ხომ ბრიტანელთათვის რელიგიის ტოლფასია, რასაც კელტთა სარევანშო განწყობილებაც ემატებოდა.

ბრძოლა რომ პრინციპული იყო, მატჩის ბოლოს სარბიელზე განვითარებული მოვლენები მოწმობს, როცა ნინიაშვილსა და ბაშარს შორის ატეხილი შფოთი გუნდურ გაწევ-გამოწევაში გადაიზარდა.




მოკლედ, შეუპოვარი წინააღმდეგობისა და ორი ლელოს დადების მიუხედავად – 19:43 და სამშობლოში ვადამდე დაბრუნება.

სპორტული ჟინი რომ საიმედო მეკავშირეა, იმავე დღეს გამართულმა ინგლისისა და სამოას ჯახმა დაადასტურა, რომელიც რაგბის გამომგონებლებმა 18:17 მოიგეს, არადა, ისინი ისედაც პლეი-ოფის მონაწილენი იყვნენ უკვე, კუნძულელებს კი საამისოდ ჰაერივით სჭირდებოდათ გამარჯვება.

**ლევან მაისაშვილი – საქართველო სნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წინააღმდეგ ვითამაშეთ, რომელმაც ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. კარგი რაგბი ვითამაშეთ, მეორე ტაიმში დავბრუნდით, მაგრამ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან დავმარცხდით.**

**იმედგაცრუებული ვარ, რადგან ვერ მივაღწიეთ მიზანს, რომელიც დასახული გვქონდა, გვინდოდა თამაშის მოგება მსოფლიო თასზე. შედეგი არ არის ის, რაც გვინდოდა, მაგრამ ყველა თამაშში ვიბრძოლეთ და არასდროს დავნებდით“**, – თქვა მაისაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ავსტრალიასთან (15:35), ფიჯისთან (12:17) და უელსთან (19:43) წააგო, ხოლო პორტუგალიას დაუზავდა (18:18), შედეგად, C ჯგუფში 1 ფრით და 3 წაგებით, რითაც მხოლოდ 3 ქულა დააგროვა, მეოთხე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრები 2007, 2011, 2015 (2 მოგება), 2019 წლებში მინიმუმ ერთ გამარჯვებას ახერხებდა მსოფლიო თასზე, შესაბამისად, 2003 წლის შემდეგ პირველად მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგებლად დაასრულა.

**აუზში**

# ელადელებმა ჩაგვძირეს

**პირეოსის ოლიმპიაკოსთან აქამდე ჩემპიონთა ლიგაში გამართული 5 შეხვედრიდან 4 წავაგეთ, მაგრამ ბერძნებს დღემდე გველის ნაკბენივით ახსენდებათ შარშანდელი სენსაცია.**



ამჯერად ევროპული საკლუბო წყალბურთის ერთ-ერთი გრანდი თბილისს განრისხებული ეწვია და ოთხივე პერიოდის მოგებით ყველა შანსი მოუსპო დინამოს – 19:6 (6:0, 4:3, 3:1, 6:2).

შეგახსენებთ, რომ დეიან სტანოიევიჩის გაწვრთნილი გუნდი ე. წ. სიკვდილის ჯგუფში თამაშობს და წლევანდელი ტურნირის პირველი მატჩი ტიტულის 11-გზის მფლობელ იტალიურ პრო რეკოსთან 6:15 დათმო, მომდევნო გამოცდას კი 17 ოქტომბერს ხორვატულ დუბროვნიკთან ჩააბარებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

## მიხეილ მახარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# სამაგალითო პიროვნება და მეცნიერი



## მიხეილ მახარაძე

**(1946–2023)**

ქართველმა საზოგადოებამ დაკარგა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, მეცნიერი, პედაგოგი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, სამაგალითო პიროვნება, ღირსეული ადამიანი, მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე.

მიხეილ მახარაძე დაიბადა 1946 წლის 13 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფ. ფაჩხაში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. იგი 1970-2011წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი (1994 წლიდან); 2013 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის პროფესორი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (2002).

მიხეილ მახარაძე მუშაობდა შუა საუკუნეების ფილოსოფიის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის, კულტურის ფილოსოფიისა და რენესანსის პრობლემებზე. მის ნაშრომებში გამოკვლეულია არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები და ძირითადი პრობლემები, არეოპაგიტიკის გავლენები და არეოპაგიტული მისტიციზმის ფილოსოფიური ხასიათი. მისი აზრით, მისტიციზმის საფუძველი არ არის პირველმიზეზის (ღმერთის) ის უარყოფითი დახასიათება, რომელიც უპირისპირდება დადებითს. კატაფატიკა და აპოფატიკა პირველ რიგში ცოდნის მეთოდებია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნეოპლატონიზმის მნიშვნელობას შუა საუკუნეების აზროვნებისა ზოგადად და, კერძოდ, ქართულ სააზროვნო ვითარებისათვის, რაც დასტურდება ბერძნული წყაროებით, კოლხეთის რიტორიკული სკოლითა და ამ პერიოდის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის - ბაკურის ფილოსოფიური შეხედულებებით. ნეოპლატონიზმის გავლენა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე ქართული ნეოპლატონიზმის ჩამოყალიბებით დასრულდა.

მიხეილ მახარაძე 1999-2004 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“. 2004-2012 წლებში — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; 2012-2016 წლებში — საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — მეტი სარგებელი ხალხს“.

მიხეილ მახარაძე დაჯილდოვდა 2004 წელს — ღირსების ორდენით, საქართველოს სახელმწიფო პრემიით. 2005 წელს — შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემიით. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, 2011 წელს — საქართველოს ეროვნული პრემიით, 2012 წელს — ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით. მიხეილ მახარაძე იყო მრავალი ორგანიზაციის და ასოციაციის წევრი.

მიხეილ მახარაძე ნაყოფიერად მუშაობდა პუბლიცისტიკაში, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატია. სხვადასხვა ფუნდამენტურ ნაშრომთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი რედაქტორობით მომზადებული და გამოცემული „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ოთხტომეული, რომელიც 2011 წელს აღინიშნა ეროვნული პრემიით მეცნიერების დარგში.

1993 წლიდან მიხეილ მახარაძე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო-პოპულარული, ლიტერატურული, მხატვრული და პუბლიცისტური კრებული.

მიხეილ მახარაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# პროფესორ მიხეილ მახარაძის ოჯახს

გულისტკივილით შევიტყვეთ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ მახარაძის გარდაცვალება. ბატონი მიხეილი ქართველ მეცნიერთა წინმავალ კოჰორტაში იყო და მაღალი ღირსებით აქტიურად ეწეოდა ფილოსოფიურ კვლევებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის ზოგადი თუ ცალკეული პრობლემების შესწავლაში. მიხეილ მახარაძე დაუღალავი საზოგადო მოღვაწე იყო. წლების მანძილზე სათავეში ედგა ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, აჭარის პარლამენტს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით იყო ბატონ მიხეილთან, გამოსცა მისი შრომები. იგი გამორჩეული იყო აჭარის საზოგადოებაში და ქართველი ინტელიგენციის ღრმა პატივისცემით სარგებლობდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და პირადად მე გულწრფელად ვიზიარებთ პროფესორ მიხეილ მახარაძის ოჯახის მწუხარებას და დარწმუნებული ვართ მისი ხსოვნა ჩვენს ხალხში, სამეცნიერო საზოგადოებაში მარადიული იქნება.

ღრმა პატივისცემით
**როინ მეტრეველი**
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი



თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1974 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი, უიშვიათესი პიროვნული ხიბლით, თავმდაბლობით, ზნეკეთილობით, თანადგომის ნიჭით გამორჩეული პიროვნება, შესანიშნავი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ღირსეული ქართული ოჯახის მამა და ბაბუა, სამეგობროს ღირსება და სიამაყე

## რეზო სანიკიძე

და გულითადად უთანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, უახლოეს სანათესაოს და დიდ სამეგობროს.

# „ვარდისფერი ოქტომბერი“ და გარბენი ლისის ტბაზე

**თბილისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის მიზნით საერთაშორისო კამპანია „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში, ლისის ტბის ტერიტორიაზე გარბენი მოეწყო, რომელიც „ევროპა დონა საქართველოს“ და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით განხორციელდა.** გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, თინათინ ნიბლოშვილის, განცხადებით, სხვადასხვა სახის აქტივობებით საბჭო ცდილობს ხელი შეუწყოს მოქალაქეების ინფორმირებას კიბოს დროული დიაგნოსტიკისა და სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ.



**„დღეს ლისის ტბის ტერიტორიაზე „ვარდისფერი მარათონი“ მოეწყო. ჩვენ გარშემო ბევრი ადამიანია, რომლებმაც ეს დაავადება დაამარცხეს და ახლა სრულად არიან ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღევანდელი დღე არის გზავნილი, რომ დროულად ჩაიტარონ სკრინინგი, რომელსაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს. მჯერა, ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას შევუწყობთ ხელს“,** — განაცხადა თინათინ ნიბლოშვილმა.

# 36 ავტოფარეხის ნაცვლად — ლამაზი სკვერი...

**სამგორის რაიონში ახალი რეკრეაციული სივრცეების მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. მათ შორის, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ-ში, 11 700 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, 36 ავტოფარეხის ნაცვლად, სკვერის მოწყობა დასკვნით ეტაპზეა.**

პროექტის ფარგლებში, ადგილზე უკვე მოეწყო დასასვენებელი სივრცეები. დამონტაჟდა გარე განათებისა და სარწყავი ქსელი. ტერიტორია ღობითა და საბაღე გაზონით შემოისაზღვრა. სკვერი გამწვანდა, დაირგო სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე. დამონტაჟდა სკამები, და სეპარირებული ურნები. ასევე, დაიგო ბეტონის საფეხმავლო ბილიკები. ადგილზე სკვერისათვის საჭირო ყველა თანამედროვე ინვენტარი დაიდგა და მოეწყო ახალი საპარკინგე სივრცე.

ამასთან, სამგორში კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტიც მიმდინარეობს. ფაღავას ქუჩაზე, 3 000 კვ.მ ფართობზე, სადაც აქამდე გრუნტიანი გზა იყო, ასფალტის ორფენიანი საფარი იგება.



# ფესტივალი დასრულდა, „მსოფლიო ტაშს უკრავს“



**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში 7 ოქტომბერს თბილისის საარქივო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი ქართული დოკუმენტური ფილმით „მსოფლიო ტაშს უკრავს“ დაიხურა.**

ფილმი რეჟისორმა გიორგი ასათიანმა 1960 წელს საქართველოს ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილების“ შესახებ გადაიღო. მასში ნაჩვენებია ანსამბლის საკონცერტო გამოსვლები ლონდონში, პარიზში, რომში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, ბოგოტაში, მეხიკოში, ჰავანასა და მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებში. ფილმი ასევე ასახავს ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ღირსშესანიშნაობებს, რომლებსაც ანსამბლის წევრები სტუმრობდნენ. ოთხი დღის მანძილზე ქართველ მაყურებელს საშუალება ჰქონდა ეროვნული არქივის კინოთეატრში ეხილა საქართველოს, ბელგიის, გერმანიის, ბულგარეთის, პერუს, იტალიის, აშშ-ის, ესტონეთის, პორტუგალიის, მალტის, ნიდერლანდების, ჩრდილოეთ მაკედონიის, ჩეხეთის, ხორვატიის, პოლონეთის, კინოარქივებში, კინოთეკებსა და კინომუზეუმებში დაცული 38 საარქივო ფილმი. ფესტივალის დახურვისას ღონისძიებაში მონაწილე საზღვარგარეთის ქვეყნების კინოინსტიტუციების წარმომადგენლებს ქართველმა კოლეგებმა ფესტივალის სპეციალური ჯილდოები და სერტიფიკატები გადასცეს.

# „რუსთავქალაქობა“ – უძველესი დროიდან დღემდე

**„რუსთავქალაქობა 2023“-ის მთავარი თემა, უძველესი და მე-20 საუკუნის რუსთავის ისტორიაა. „დღეს რუსთავში აღვნიშნავთ ჩვენი ქალაქის დღეს. საღამოს 7 საათზე, ქალაქის მთავარ მოედანზე ძალიან სასიამოვნო კონცერტი დაიწყება. ველოდებით ყველას, მთელ რუსთავს, ღონისძიებაზე არ გვაქვს არც ერთი პერსონალური მოსაწვევი. მე დარწმუნებული ვარ, დღევანდელი საღამო თითოეული რუსთაველისთვის იქნება დაუვიწყარი“,** – განაცხადა გუშინ „რუსთავქალაქობაზე“ რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.



გუშინდელ ზეიმში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი და ნიკა ნიკვაშვილი, ანსამბლი „ქართული ხმები“, ნატო მეტონიძე, ნუკრი კაპანაძე, ზვიად ბოლქვაძე, ნატალია ქუთათელაძე, ნეკა სებისკვერაძე, გიორგი სუხიტაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი მონაწილეობდნენ. ქალაქის დღესასწაულს, რუსთაველები ყოველი წლის შემოდგომაზე, ტრადიციულად უკვე 25 წელია, რაც აღნიშნავენ.

# „გორის დღე 2023“

**გორში გუშინ, 8 ოქტომბერს ქალაქის სახალხო დღესასწაული „გორის დღე 2023“ აღინიშნა. ღონისძიების ფარგლებში თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სხვადასხვა სახის კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული სანახაობები და აქტივობები.**




მთელი დღის განმავლობაში ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების კუთხეები, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციისა და ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, კვების ობიექტებისა და სოფლების კუთხეები, საბავშვო გასართობი სივრცეები, ტურისტული ზონა – „ჯიპტური“.

# შექმენი შენთვის სასურველი სამოსი საკუთარი დიზაინით




**მსახიობმა ანჯელინა ჯოლიმ განაცხადა, რომ იგი ტანსაცმლის ატელიეს, „ატელიე ჯოლის“ შექმნას გეგმავს.** მისი თქმით, ატელიე „კრეატიული ინკუბატორი“ იქნება, სადაც ადამიანები შეძლებენ საკუთარი დიზაინით ნებისმიერი სამოსი შექმნან. მომხმარებელს ატელიეში შეეძლება ძველი სამოსის მიტანა და შემდეგ მისი გადამუშავება.

**„არ მინდა გავხდე დიდებული დიზაინერი, უბრალოდ მინდა მქონდეს ატელიე, სადაც ადამიანები იმდენს ისწავლიან, რომ შეძლებენ თავად გახდნენ დიდებული დიზაინერები. მინდა საკუთარი ცხოვრების ბევრი ასპექტი შევცვალო და ადამიანებს დავეხმარო“,** – აღნიშნა ჯოლიმ. ოსკაროსანი მსახიობის თქმით, ატელიე ოფიციალურად ერთ თვეში გაიხსნება და გაეროს ლტოლვითა ორგანიზაციებთან ითანამშრომლებს.

# მინი დოკუმენტური სერიალი დევიდ ბექჰემზე



**„ნეტფლიქსმა“ დევიდ ბექჰემზე მინი დოკუმენტური სერიალი გამოუშვა.** სერიალი, სახელწოდებით „ბექჰემი“ ოთხი ნაწილისგან შედგება, სადაც ბრიტანული ფეხბურთის ვარსკვლავის ცხოვრებაა ნაჩვენები, თუ როგორ მიაღწია წარმატებას როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში.

**„ვფიქრობ, რომ სერიალის შექმნა სწორი გადაწყვეტილება იყო. ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების სწორ დროს ხდება. მინდოდა, რომ ისეთი რაღაც შეგვექმნა, რასაც ჩვენი ოჯახი უყურებდა და ისიამოვნებდა“,** – აღნიშნა ბექჰემმა.

დოკუმენტურ სერიალში სპორტსმენისა და მისი ოჯახის ცხოვრების საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობი დეტალებიცაა ნაჩვენები. სერიალის პრემიერა ლონდონში უკვე გაიმართა. დევიდ ბექჰემი პრემიერაზე ოჯახთან ერთად მივიდა. მის გვერდით იყო მისი ცოლი, დიზაინერი ვიქტორია ბექჰემი და მათი ოთხი შვილი.

# ბაიდენების მკბენარა ძაღლი თეთრი სახლიდან გააძევეს



**აშშ-ის პრეზიდენტის ძაღლს, კომანდერს თეთრი სახლის დატოვება მოუწია მას შემდეგ, რაც მან რამდენიმე თანამშრომელი დაკბინა.**

ამ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილება 2 წლის გერმანული ნაგაზის მომავალზე მიღებული არ არის. გასულ კვირას კომანდერმა საიდუმლო სამსახურის თანამშრომელს უკბინა, რომელსაც სამედიცინო დახმარება დასჭირდა. სულ კი ძაღლის მონაწილეობით 11 ანალოგიური ინციდენტი დადასტურდა, თუმცა, მედიის ცნობით, რეალური რიცხვი გაცილებით მაღალია. თეთრი სახლის პრესსამსახურში ძაღლის აგრესიულ ქცევას პრეზიდენტის რეზიდენციაში ცხოვრების სტრესს უკავშირებდნენ. ბაიდენებს კიდევ ერთი გერმანული ნაგაზი, მეიჯორი ჰყავთ, რომელიც თეთრ სახლში მცხოვრები თავშესაფრიდან აყვანილი პირველი ძაღლი იყო. თუმცა, იმის გამო, რომ მეიჯორი თანამშრომლებს კბენდა, პრეზიდენტის რეზიდენციის დატოვება მასაც მოუწია. ახლა ის ბაიდენების ოჯახის მეგობრებთან ცხოვრობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჩიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6719; ევრო - 2.8215;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2629;
100 რუბლი - 2.6621; თურქული ლირა - 0.0967;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5732;
1000 სომხური დრამი - 6.5770

**ამინდი 9 ოქტომბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +20 |
| თბილისი: | ღამე +13, | დღე +24 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge